ლ. ვაშაკიძე ვ. როდონაია მ. მირიანაშვილი ნ. ხაჭაპურიძე

ქართული ენა

II კლასი

მოსწავლის წიგნი

გრიფმინიჭებულია საქართველოს განათლებისა და
მეცნიერების სამინისტროს მიერ 2023 წელს

საქართველოს მაცნე

ქართული ენა – II კლასი

მოსწავლის წიგნი

ლ. ვაშაკიძე, ვ. როდონაია, მ. მირიანაშვილი, ნ. ხაჭაპურიძე

რედაქტორი – ნანა სუხიტაშვილი
მხატვრები – თამარ ჯაყელი
ნინო აფციაური
ზაურ დეისაძე
დამკაბადონებელი – ლია მოსეშვილი

გამომცემლობა „საქართველოს მაცნე“
მის: ქ. თბილისი, ე. მაღალაშვილის ქ. №5
ტელ: 568105467; 574 400 857
ელ.ფოსტა: sakmacne@gmail.com, saqartvelosmatsne@gmail.com
www.http://saqmatsne.ge

© გამომცემლობა „საქართველოს მაცნე“, 2018
© ლ. ვაშაკიძე, ვ. როდონაია, მ. მირიანაშვილი, ნ. ხაჭაპურიძე

გამოცემის წლები: 2003, 2009, 2011, 2018, 2023

ISBN 978-9941-16-854-3

1. ამბები სკოლიდან 7
ყოჩაღი ბიჭი – ცირა ქიტიაშვილი 7
ნუციკო – ტარიელ ჭანტურია 9
პინოქიოს თავგადასავალი – კარლო კოლოდი 10
2. ფასეულობები – წიგნში ნაპოვნი სიბრძნე 15
ლომი და თაგვი – იაკობ გოგებაშვილი 15
სირცხვილი აიცილა – იაკობ გოგებაშვილი 17
სამი ბიჭი – გიორგი ივანიშვილი 19
მსოფლიოს ჩემპიონი – რევაზ ინანიშვილი 22
3. სწავლა – სიახლის ძიება 26
სიტყვის კაცი – პაატა მამფორია 26
ზღაპრული სკივრი – დავით ჯავახიშვილი 28
ეკამ წერილი მიიღო – პაატა მამფორია 30
უცნაური მგზავრი – პაატა მამფორია 32
4. ჩვენი ოთხფეხა მეგობრები 36
ხვთისო – ვაჟა ხორნაული 36
როგორ იყიდა ულემ ელვა – ასტრიდ ლინდგრენი 38
5. ერთმანეთზე ზრუნვა 42
კეთილი ბერიკაცი – იაკობ გოგებაშვილი 42
პატარა კალათა – ქეთევან ჭილაშვილი 45
მზექალა და თინა – მუხრან მაჭავარიანი 48
ჭიანჭველა და ფუტკარი – იაკობ გოგებაშვილი 50
6. საახალწლო 53
დეკემბერი – გივი ჭიჭინაძე 53
საახალწლო ლექსიკონი – პაატა მამფორია 54
მრავალ ახალ წელს – გალაკტიონ ტაბიძე 58
7. სახალისო ამბები 60
ტელეფონით მოყოლილი ზღაპრები – ჯანი როდარი 60
მოგზაური მაიმუნები – ჯანი როდარი 63
ჭრელი წინდები – რევაზ ინანიშვილის მიხედვით 65
შშშ! – დონალდ ბისეტი 67
მოდი, რიცხვები მოვიგონოთ! – ჯანი როდარი 70
ასოების გასაჭირი – იოსებ გრიშაშვილი 72
8. საოცარი ბავშვები 76
დახუჭობანა – ლალი ვაშაკიძე 76

თოჯინა – ნინო ბეზარაშვილი 78
ხაბაზი – ცირა ქიტიაშვილი 80
თომა ბავშვთა ქალაქს აშენებს – გიორგი კეკელიძე 82
ფეფო – ლეილა ბეროშვილი 85
ფეფოს სოფელი – ლეილა ბეროშვილი 86
ერთი და შვიდი – ჯანი როდარი 90
9. ადამიანი და ბუნება 93
ვისი ხარ, წყაროვ, ვისი? – ილია სიხარულიძე 93
ყმაწვილი და პეპელა – აკაკი წერეთელი 94
მაუგლი – რედიარდ კიპლინგი 95
10. წელიწადის დროები 101
ნეკერჩხალი – გივი ჭიჭინაძე 101
რთველი – გივი ჭიჭინაძე 103
ზამთარი – გიორგი ქუჩიშვილი 105
გაზაფხული – თამაზ ბიბილური 106
ირგვლივ მწვანე ზაფხულია – მუხრან მაჭავარიანი 107
11. საქართველო – ჩვენი სამშობლო 110
ჩემი სოფელი – ცირა ქიტიაშვილი 110
მღერიან თუშის ბიჭები – ნოდარ დუმბაძე 112
საქართველო – დუტუ მეგრელის მიხედვით 113
საქართველო ჩემი სამშობლოა 114

პირობითი ნიშნები

მითითებული მასალის წაკითხვა ტექსტში

შესასწავლ ტექსტთან დაკავშირებული კითხვები

სასაუბრო საუბარი მითითებულ თემაზე

განსახილველ თემასთან დაკავშირებით ინტერნეტრესურსის გამოყენება

სიტყვის სკივრი ლექსიკონი

ეს საინტერესოა შემეცნებითი მასალა

დაიმახსოვრე! ენობრივი მასალა

იმუშავეთ ჯგუფებად მუშაობა ჯგუფებად

იმუშავეთ წყვილებად მუშაობა წყვილებად

დააკვირდი სიტყვებს მართლწერის საკითხებზე დაკვირვება

ვთამაშობთ და ვსწავლობთ თამაშით სწავლა

1 ამბები სკოლიდან

ყოჩაღი ბიჭი

ერთმა ბიჭმა დედას
გაუხარა გული:
თურმე წერა იცის
ჩაწიკწიკებული,
თურმე კითხვა იცის
ჩაჭიკჭიკებული,
სიმღერები იცის
ჩაბულბულებული.
იღიმება დედა,
როგორც გაზაფხული.

ცირა ქიტიაშვილი

1. რით გაახარა ბიჭმა დედა?
2. როგორ გამოხატა დედამ სიხარული?
3. რასთან არის შედარებული დედის ღიმილი?

გამოცანა

ნაცრისფერი ჩიტუნია,
ტყე-ბაღების შვილი,
მგალობელი ფრინველია,
ხმა აქვს მეტად ტკბილი.

სასაუბრო

ისაუბრეთ, რა უხარიათ ყველაზე მეტად დედას, მამას, ახლობლებს.

გავიხსენოთ ანბანი!

წავიკითხოთ ანბანი!

ა ბ გ დ ე ვ ზ თ

ი კ ლ მ ნ ო პ ჟ

რ ს ტ უ ფ ქ ღ ყ

შ ჩ ც ძ წ ჭ ხ ჯ

ჰ

დაიმახსოვრე!

ხმოვანი და თანხმოვანი

გაიხსენეთ, ქართულ ანბანში 5 ხმოვანია: ა ე ი ო უ. ყველა დანარჩენი თანხმოვანია;

1 **დააკვირდი, ანბანის მიხედვით, რომელი ასოა გამორჩენილი ასოების თითოეულ რიგში:**

1. ი კ ლ ნ ო პ 2. ს ტ უ ფ ღ ყ 3. შ ჩ ც წ ჭ

2 **რამდენი ხმოვანი და რამდენი თანხმოვანია თითოეულ სიტყვაში?**

ბალახი, ყვავილი, მერცხალი, ტოროლა.

დავალება:

დაწერე, რით გაახარა ბიჭმა დედა.

ნუციკო

სად გინახავს, მითხარი,
მელაკუდა – უკუდოდ,
უსავარცხლოდ – ოფოფი,
ანდა სოკო – უქუდოდ!
    სად გინახავს, კენგურუს
    ჩანთა შინ დარჩენოდეს,
    მონადირეს კი ხელში
    თოფი არა სჭეროდეს!
შენ კი, ჩემო ჭკვიანო,
ჩემო კარგო ნუციკო,
როგორ მოხდა, სკოლაში
რომ წახვედი უწიგნოდ?!

ტარიელ ჭანტურია

1. ვის მიმართავს ლექსში პოეტი.
2. რა არის აუცილებელი მელაკუდასათვის, ოფოფისათვის, კენგურუსათვის?
3. რატომ არის აუცილებელი სასკოლო ნივთების ტარება სკოლაში?
4. რომელი ნივთები გჭირდება სკოლაში?

სასაუბრო

ისაუბრეთ, რა ხდება ხოლმე გაკვეთილზე, როდესაც მოსწავლეს სასკოლო ნივთები ავიწყდება.

მრავალწერტილის ნაცვლად ჩასვი სიტყვები – ხოლო ან მაგრამ, და ისე წაიკითხე წინადადებები:

ნიკო ბიბლიოთეკაში მიდიოდა, . . . გიგო – სტადიონზე.
დედა საუზმეზე რძეს მთავაზობს, . . . მე არ ვსვამ.
ჩემი ძმა ცეკვის სტუდიაში დადის, . . . არ უყვარს ცეკვა.
ბებო სათვალით კითხულობს, . . . ბაბუ უსათვალოდ.

დავალება:

დაწერე, როგორ ემზადებოდი ახალი სასწავლო წლისათვის.

პინოქიოს თავგადასავალი

თავი მეცხრე
პინოქიო ყიდის ანბანს, რომ თოჯინების თეატრის ბილეთი იყიდოს

პინოქიომ ახალი ანბანი იღლიაში ამოიდო და სკოლაში წავიდა. ხის კაცუნას პატარა თავში ათასი ფიქრი ირეოდა; ოცნებაში ერთიმეორეზე უკეთეს კოშკებს აგებდა და თავისთვის ამბობდა:

„დღეს სკოლაში კითხვას ვისწავლი, ხვალ – წერას, ზეგ – თვლას. მერე იმდენს მოვახერხებ, რომ ბევრ ფულს ვიშოვი და პირველ რიგში ჩემს მამილო ჯეპეტოს მაუდის ლამაზ ქურთუკს ვუყიდი. კეთილი კაცი მეტის ღირსიც კია. ახლა იგი პერანგის ამარა დადის, მე კი წიგნი მიყიდა და სკოლაში გამომიშვა. მერე როგორ ცივა! მარტო მამა თუ გაიმეტებს ასე თავს!“

ამ გულისამაჩუყებელი ფიქრებით იყო პინოქიო გართული, რომ უცებ ფლეიტის და დოლის ხმა მოესმა: „წიუ-წიუ“, „ბუმ-ბუმ“.

შეჩერდა და ყური მიუგდო. ხმა იქიდან ისმოდა, სადაც გრძელზე უგრძესი გზა მიიკლაკნებოდა პატარა ზღვისპირა სოფლისკენ.

– რა მუსიკაა? ნეტავ სკოლაში არ მივდიოდე!..

თვალის დახამხამებაში ათასი აზრი აერია თავში. უნდა გადაეწყვიტა, რომელი სჯობდა: სკოლა თუ მუსიკა.

– მოდი, დღეს მუსიკას მოვუსმენ, ხვალ კი სკოლაში წავალ, სად გამექცევა, – გადაწყვიტა ჩვენმა ცუღლუტმა ბიჭუნამ.

***

ცდუნება დიდი იყო და ისიც სოფლისაკენ მიმავალ გზას დაადგა. მალე ხალხმრავალ მოედანზე გაჩნდა.

– აქ რა ამბავია? – ჰკითხა პინოქიომ ერთ პატარა ბიჭს.

– აფიშა წაიკითხე და გაიგებ!

– სიამოვნებით წავიკითხავდი, მაგრამ დღეს ვერ წავიკითხავ. ჯერ კითხვა არ ვიცი.

– აფიშაზე წითელი ასოებით წერია: თოჯინების დიდი თეატრი...

– რა ღირს შესვლა?

– ოთხი სოლდო.

პინოქიოს ისე მოუნდა წარმოდგენის ნახვა, რომ ზრდილობა სულ დაავიწყდა:

– ხვალამდე ოთხ სოლდოს ვერ მასესხებ? – ჰკითხა ურცხვად პატარა ბიჭს.

– სიამოვნებით, – უთხრა დაცინვით ბიჭმა, – მაგრამ დღეს არ შემიძლია.

– ოთხ სოლდოდ ჩემს ქურთუკს ან ჩემს ჩაჩს მოგყიდი, – შეეხვეწა ხის კაცუნა ამ პატარა ბიჭს.

– რად მინდა შენი ქაღალდის ქურთუკი და ჩაჩი?!

– ამ ანბანში მომცემ ოთხ სოლდოს?

– მე ავიღებ ანბანს ოთხ სოლდოდ! – დაიძახა ვიღაც ძველმანების გამყიდველმა, რომელიც ამ საუბარს ყურს უგდებდა.

წიგნი თვალის დახამხამებაში გაიყიდა.

პინოქიო პირველ რიგში გამოიჭიმა. ამ დროს კი წარმოიდგინეთ საწყალი ჯეპეტო, რომელიც სიცივისაგან ცახცახებდა, რადგან თავისი ქურთუკი ანბანში გაცვალა.

კარლო კოლოდი

1. სად მიდიოდა პინოქიო?
2. ვინ უყიდა მას ანბანი?
3. რა ქნა მამილო ჯეპეტომ, რომ პინოქიოსთვის ანბანი ეყიდა?
4. თავდაპირველად რას ფიქრობდა პინოქიო?
5. რამ მიიქცია პინოქიოს ყურადღება?
6. რა გადაწყვეტილება მიიღო პინოქიომ?
7. პინოქიოს სკოლა დაავიწყდა; კიდევ რა დაავიწყდა მას?
8 რა ქნა ბოლოს პინოქიომ?

იმსჯელეთ პინოქიოს საქციელზე.

ნახეთ მულტფილმი „პინოქიოს თავგადასავალი“. ისაუბრეთ, კიდევ რომელ პერსონაჟებს გაეცანით. ვინ როგორია? რით დასრულდა პინოქიოს თავგადასავალი?

გაითამაშეთ ეპიზოდი: პინოქიო ანბანს ყიდის.

სახალისო

პინოქიო პირველ რიგში გამოიჭიმა.

იგი რომ ერთი რიგით უკან დამჯდარიყო, რას ვიტყოდით?

იგი რომ სამი რიგით უკან დამჯდარიყო, რას ვიტყოდით?

ნინო მესამე რიგში ზის. მის უკან თამუნა ზის, თამუნას უკან – ნიკა, ნიკას უკან – გურამი. დაასახელე, ვინ რომელ რიგში ზის.

დავალება:

დაწერე, რას ფიქრობდა პინოქიო თავიდან და როგორ მოიქცა იგი ბოლოს.

დაახასიათე პინოქიო. გამოიყენე პერსონაჟის რუკა.



შეადარე მოცემული სურათები

1 კომპლექსური დავალებები

№1. პერსონაჟის სკამი

მოირგე კარლო კოლოდის ზღაპრის „პინოქიოს თავგადასავალი“ მთავარი პერსონაჟის – ხის კაცუნა პინოქიოს როლი, გამოდი კლასის წინაშე, გააცანი თავი მსმენელებს პინოქიოდ – მიაწოდე მოკლე ინფორმაცია პერსონაჟის ვინაობის, წარსულისა და ახლანდელი ცხოვრების შესახებ. პერსონაჟის პირით უპასუხე თანაკლასელების შეკითხვებს, გაითვალისწინე, რომ შენი პასუხები უნდა ეფუძნებოდეს ტექსტს.

ნამუშევრის წარდგენისას წარმოაჩინე:

- როგორ უპასუხებს პინოქიო შეკითხვებს;
- როგორია პერსონაჟის – პინოქიოს – ფიქრები, განცდები, ემოციები, ინტერესები, მიზნები;
- ბიოგრაფიის ის დეტალები, რომლებიც ტექსტში არ არის მოცემული;
- რას ფიქრობს პინოქიო სხვა პერსონაჟებზე, როგორ აფასებს მათ და რატომ;
- როგორ ხსნის პერსონაჟი თავის საქციელს.

№2. ორი სურათის შედარება.

შეადარე სურათები, მსგავსება-განსხვავება წარმოაჩინე საერთო კრიტერიუმების მიხედვით.

აღწერისას წარმოაჩინე:

- რის მიხედვით – რა კრიტერიუმების მიხედვით შეადარე სურათები;
- დეტალები – რით ჰგავს, რით განსხვავდება ეს სურათები? ამისთვის გამოიყენე ნიშან-თვისებების აღმნიშვნელი სიტყვები, ასევე სიტყვები – **ხოლო, მაგრამ**.

2 ფასეულობები – წიგნში ნაპოვნი სიბრძნე

ლომი და თაგვი

ლომს ტყეში ეძინა. თაგვმა ზედ გადაურბინა. ლომმა გამოიღვიძა და დაიჭირა. თაგვმა უთხრა: – გამიშვი და გაჭირვებაში დაგეხმარებიო. ნადირთა მეფეს გულიანად გაეცინა და გაუშვა.

გავიდა ხანი. ლომი მონადირეების დაგებულ ხაფანგში გაება და საშინელი ღრიალი მორთო.

თაგვს შემოესმა ლომის ხმა, მოცუნცულდა, გადაღრღნა ხაფანგის თოკი და გაათავისუფლა ლომი.

ლომმა მადლობა გადაუხადა. თაგვს ჩაეცინა და უთხრა: – ხომ ხედავ, დიდ და ძლიერ ლომსაც შეიძლება დასჭირდეს პატარა თაგვის დახმარებაო.

იაკობ გოგებაშვილი

1. რა განსაცდელში ჩავარდა პატარა თაგვი?
2. რა სთხოვა მან ლომს?
3. რატომ გაეცინა ლომს თაგვის ნათქვამზე?
4. რა შეემთხვა ლომს?
5. რამ გადაარჩინა იგი?
6. რა უთხრა თაგვმა ლომს?

შეადარეთ ერთმანეთს ლომი და თაგვი.
შეავსეთ შესაბამისი ცხრილი.

დაიმახსოვრე!

წინადადება

„ლომს ტყეში ეძინა“ ეს სიტყვები ერთად დასრულებულ აზრს გამოხატავს და იგი წ ი ნ ა დ ა დ ე ბ ა ა. წინადადების ბოლოს წერტილი ან სხვა რომელიმე სასვენი ნიშანი იწერება.

დავალება:

ამოწერე ტექსტიდან სამი წინადადება.

იმსჯელე, როგორია ლომი. გამოიყენე პერსონაჟის რუკა.



რა გავითვალისწინო წერილზე მუშაობისას?

წერის დაწყებამდე	• გავიხსენოთ, ვინ არის წერილის ავტორი, ვისთვის წერს წერილს; • დავფიქრდეთ, რის სათქმელად მოუნდებოდა წერილის მიწერა? • შევადგინოთ დამხმარე გეგმა-ჩარჩო;
წერის დროს	• შევქმნათ პირველი, შავი ვარიანტი გეგმა-ჩარჩოს დახმარებით;
წერის შემდეგ	• გადავიკითხოთ მკითხველის თვალით; • კრიტერიუმების გამოყენებით აღმოვაჩინოთ ხარვეზები, შეცდომები; • გავაუმჯობესოთ, გავასწოროთ შეცდომები; • გადავათეთროთ წერილი და მოვემზადოთ წერილის წასაკითხად.

წერილის გეგმა-ჩარჩო

მიმართვა	როგორ მიმართავდა თაგვს?
ძირითადი ნაწილი	რა მიზნით მისწერდა წერილს? რისი გაზიარების სურვილი ექნებოდა?
გამომშვიდობება, ხელმოწერა	როგორ გამოემშვიდობებოდა?

სირცხვილი აიცილა

შუადღე იყო, ცხელოდა.

პატარა სანდრო მინდვრიდან შინ ბრუნდებოდა. შიოდა, წყურვილისაგან პირი უშრებოდა. გზაზე, მეზობლის ვენახში, ღობესთან დაინახა წითლად დახუნძლული ატამი და თვალი ზედ დარჩა. ატმები თითქოს იწვევდნენ და ეუბნებოდნენ: ამოხტი, სანდრო, მოგვწყვიტე და პირი ჩაიტკბარუნეო.

სანდრო ყოყმანობდა, სხვისი ხილის ქურდულად მოკრეფა ეძნელებოდა, ეთაკილებოდა, თავის დღეში არაფერი მოუპარავს. ბოლოს ვეღარ მოითმინა, სულმა წასძლია, ღობეს შეახტა, ტოტი მოიწია და წითლად დაბრაწული ატამი მოწყვიტა.

ჩაკბიჩა ბიჭმა ატამი და თან რაღაც დარდსა გრძნობს, თითქოს გულში ვიღაც უზის და ეუბნება: „ეგ რა ქენი, სანდრო, რატომ იქურდეო?!“ – წუხს, ჯავრობს, მაგრამ რაღა ქნას, ატამს ხომ ვეღარ მიაბამს ხეზე? უცებ გაჩერდა, რაღაც აზრი მოუვიდა, სახე გაუნათდა, შებრუნდა და მოკურცხლა ვენახის პატრონის სახლისაკენ. ჭიშკართან მიირბინა და დაიძახა:

– დეიდა ნინო! დეიდა ნინო!

– შენა ხარ, სანდრო? რა გინდა, ჩემო კარგო? – ჰკითხა აივანზე გადმომდგარმა დიასახლისმა.

– დეიდა ნინო, შენი ჭირიმე, თქვენს ვენახში პირის გასასველებლად ატამი მოვწყვიტე და ნუ გეწყინება!

– შეგარგოს ღმერთმა! – უპასუხა კეთილმა დიასახლისმა.

დამშვიდებული სანდრო გაბრუნდა და ტკბილად შეირგო მწიფე ატამი.

იაკობ გოგებაშვილი

მოძებნე და დაასახელე, რას ნიშნავს – **სულმა წასძლია, ეთაკილებოდა, ყოყმანობდა.**

ვერ გადაეწყვიტა, ვერ მოითმინა, რცხვენოდა.

1. რა აწუხებდა გზად მიმავალ სანდროს?
2. რამ მოსტაცა სანდროს თვალი?
3. როგორ მოიქცა იგი?
4. რამ შეაწუხა სანდრო?
5. როგორ აიცილა სანდრომ სირცხვილი?

დაიმახსოვრე!

საპირისპირო სიტყვები

გაიხსენე, როგორ დასრულდა ამბავი, „დამშვიდებული სანდრო გაბრუნდა და ტკბილად შეირგო მწიფე ატამი“. სანდრო გულახდილი რომ არ ყოფილიყო დეიდა ნინოსთან, მაშინ ვიტყოდით: აღელვებული სანდრო გაბრუნდა და მწარედ ეჩვენა მწიფე ატამი. ეს სიტყვები საპირისპირო მნიშვნელობისაა. ასეთ სიტყვებს შეიძლება საპირისპირო სიტყვები დავარქვათ.

დაასახელე ამ სიტყვების საპირისპირო სიტყვები:

სიცხე მშიერი ძლიერი ძნელი მშრალი ტკბილი

ანდაზა

აქლემის ქურდი და ნემსის ქურდი – ორივე ქურდიაო.

სასაუბრო

იმსჯელეთ სანდროს საქციელზე. როგორი ბიჭია იგი?
რატომ ჰქვია ამ მოთხრობას „სირცხვილი აიცილა“?

დავალება:

გამოიყენე გამონათქვამები (თვალი ზედ დარჩა, სულმა წასძლია, პირი ჩაიტკბარუნა) და შეადგინე წინადადებები.

სამი ბიჭი

ჩვენს ეზოში სამი ბიჭუნა ცხოვრობს: რეზო, ვახტანგი და გურამი.

ამას წინათ ჩვენს ბიჭებს ასეთი რამე დაემართათ:

ვახტანგმა პატარა სამთვალა ურიკა გააკეთა.

ბიჭები ქუჩაში გავიდნენ, რიგრიგობით სხდებოდნენ ურიკაზე და ერთმანეთს აქეთ-იქით დააგორებდნენ.

ერთხელაც რეზო ურიკაზე იჯდა, გურამი კი ზურგიდან აწვებოდა. ურიკა კედელს დაეჯახა და ნალესი ჩამოინგრა.



სად იყო, სად არა, სახლის პატრონიც გამოჩნდა. ბიჭები ადგილიდან არ დაძრულან.

– რომელმა ჩაიდინა ეს? – იკითხა გულმოსულმა მეზობელმა.

ვახტანგმა ორივე ამხანაგს დაასწრო:

– ჩემი ბრალია, ძია, ურიკა მე გავაკეთე.

რეზომ თქვა:

– არა, ძია, ეგ სულ ჩემი ბრალია, ურიკაზე მე ვიჯექი!

გურამმა კი მეგობრები გაამართლა:

– ურიკა მე მიმყავდა, ძია, კედელს მივაჯახე. ნალესი მე ჩამოვანგრიე.

გაკვირვებულმა მეზობელმა ერთხანს უყურა დარცხვენილ ბიჭებს, შემდეგ კი თქვა:

– მართალია, ცუდად მოიქეცით, მაგრამ სიმართლისათვის მიპატიებია!

სახლის პატრონმა თიხა მოიტანა, წყალი დაასხა, აზილა და კედლის შელესვა დაიწყო.

ბიჭებიც მიეხმარნენ.

გიორგი ივანიშვილი

1. რა გააკეთა ერთხელ ვახტანგმა?
2. როგორ ერთობოდნენ ბიჭები?
3. რა შეემთხვათ ბიჭებს?
4. რატომ დაიბრალა ვახტანგმა დანაშაული?
5. როგორ მოიქცა ვახტანგი?
6. რა თქვეს გურამმა და რეზომ?
7. რა მოეწონა სახლის პატრონს?
8. რით გამოისყიდეს ბიჭებმა შემთხვევითი დანაშაული?

სასაუბრო

თქვენი აზრით, ვინ იყო დამნაშავე? როგორ შეაფასებთ ბიჭების საქციელს, სწორად მოიქცნენ თუ არა ისინი?

რა იყო მათ საქციელში მოსაწონი?

მოძებნე და წაიკითხე ილუსტრაციის შესაბამისი ეპიზოდი. რა იკითხა მეზობელმა? მოძებნე და წაიკითხე, რამდენი პასუხი გაეცა ამ კითხვას.

სავარჯიშოები: მხოლობითი, მრავლობითი.

დაიმახსოვრე!

მხოლობითი და მრავლობითი

თუ სიტყვა **მხოლოდ ერთ** საგანს აღნიშნავს (მაგალითად, ბეღურა, გოგონა, წიგნი), იგი მ ხ ო ლ ო ბ ი თ ი ა, თუ ერთზე მეტს, **მრავალ საგანს** აღნიშნავს (მაგალითად, ბეღურები, გოგონები, წიგნები), იგი მ რ ა ვ ლ ო ბ ი თ ი ა.

იპოვე ტექსტში მხოლობითი სიტყვა და აქციე მრავლობითად. დააკვირდი რით განსხვავდება მრავლობითი და მხოლობითი ერთმანეთისგან?

წიგნი – წიგნები	ხე – ხეები	გოგონა – გოგონები
სახლი – სახლები	მთა – მთები	კაცი – კაცები

დააკვირდი სიტყვებს

უკარნახეთ ერთმანეთს მოცემული სიტყვები და ჩამოწერეთ დაფაზე:

ვახტანგმა	რიგრიგობით	სხდებოდნენ
აქეთ-იქით	გულმოსული	დააგორებდნენ

სასაუბრო

იმსჯელეთ მოთხრობების, „სამი ბიჭის“ და „სირცხვილი აიცილას“, მსგავსება-განსხვავებების შესახებ. რით ჰგავს ეს ორი ტექსტი ერთმანეთს? რით განსხვავდება? შენი აზრით, რომელი უფრო მნიშვნელოვან პრობლემას გადმოგვცემს? რატომ ფიქრობ ასე?

დავალება:

უპასუხე მეშვიდე და მერვე კითხვებს და ჩაწერე რვეულში.

– თუ შეიძლება, მეც წამოვალ შენთან ერთად, – ძლივს გასაგონი ხმით სთხოვა ქეთინომ ძმას.

– ბიჭები კრივის დარბაზში მივდივართ, შენ იქ რა უნდა აკეთო? – უთხრა გიგიმ.

– ძალიან გთხოვ, წამიყვანე, მე ხელს არ შეგიშლით! – ისევ შეეხვეწა ქეთინო.

გიგი გაბრაზდა. დატუქსვა დაუპირა, მაგრამ გაახსენდა, ქეთინო დიდი ხნის ნაავადმყოფარი რომ იყო და თავს ჯერ კიდევ სუსტად გრძნობდა.

გიგი უკანმოუხედავად გავარდა ქუჩაში. გზად გურამს გაუარა.

მეგობრებს კრივის დარბაზისკენ არც გაუხედავთ, ისე აიარეს აღმართი. მერე ტრამვაიში ჩასხდნენ და მაღლა-მაღლა წავიდნენ.

პარკში სიგრილე იყო, საამო ნიავი ქროდა.

ბიჭები კარგად გაერთნენ, იხალისეს.

უცებ გურამმა მეგობარს ხელი წაჰკრა.

– ნახე, ბიჭო, ვინ მოდის!

ბიჭებმა მათკენ მომავალი ახოვანი ახალგაზრდა კაცი და ათიოდე წლის ბაფთიანი გოგონა დაინახეს. ეს ბრგე კაცი

მთელ ქალაქში ცნობილი მსოფლიოს ჩემპიონი იყო. იგი გიგისა და გურამის მწვრთნელიც იყო. ბიჭები ცდილობდნენ ყველაფერში მისთვის მიებაძათ.

ჩემპიონმა მოწაფეებს ძარღვიანი მარჯვენა გაუწოდა. გიგიმ და გურამმა მოწიწებით ჩამოართვეს ხელი. ბაფთიანი გოგონა და ბიჭები ერთმანეთს გაეცნენ. იგი მსოფლიოს ჩემპიონის უმცროსი და აღმოჩნდა.

მოულოდნელად ჩემპიონი გიგის მიუბრუნდა:

– ჰო, მართლა, შენი დაიკო როგორ არის?

– გმადლობთ, ახლა არა უშავს.

– მერე აქეთ რატომ არ გამოასეირნე? ახლა მისთვის სუფთა ჰაერი ხომ საჭიროა.

გიგის ენა დაება. არ იცოდა, რა ეთქვა, ძლივს ამოილუღლუღა:

– ჩემი და... მამიდასთან იყო...

– უნდა გაგევლო და წამოგეყვანა! – მტკიცე ხმით თქვა მსოფლიოს ჩემპიონმა.

გიგიმ თავი ჩაღუნა. თვალწინ დაუდგა აცრემლებული დაიკო, მისი გამხდარი ხელები. ახლა ქეთინო აქ რომ ყოფილიყო, გიგი მას უსათუოდ გადაეხვეოდა და პატიებას სთხოვდა.

მსოფლიოს ჩემპიონი საყვარელ დაიკოს უღიმოდა და გატაცებით უყვებოდა, რა კარგი ბიჭები არიან გიგი და გურამი.

რევაზ ინანიშვილი

1. რა სთხოვა ნაავადმყოფარმა ქეთინომ ძმას?
2. რა პასუხი მიიღო მან?
3. სად მიდიოდნენ მეგობრები?
4. ვის შეხვდნენ ისინი პარკში?
5. რა აკავშირებდა მსოფლიოს ჩემპიონს ბიჭებთან?
6. რა ჰკითხა მსოფლიოს ჩემპიონმა გიგის? რა უსაყვედურა მან ბიჭს?
7. რა მოიგონა გიგიმ თავის გასამართლებლად? მერამდენედ იცრუა მან?
8. საიდან ჩანს, რომ გიგი ნანობს თავის საქციელს?

1 ჩამონათვალში მოძებნე და დაასახელე, რას ნიშნავს – **დავტუქსავ, ახოვანი, ბრგე, მოწიწებით, ამოილუღლუღა:**

მაღალი, ძლივს თქვა, გავუჯავრდები, მხარბეჭიანი, მოკრძალებით.

დაყავით მოთხრობა ნაწილებად. თითოეული ნაწილისთვის მოიფიქრეთ ცალკე სათაური.

სასაუბრო

იმსჯელეთ გიგის საქციელის შესახებ. თქვენ რა გასწავლათ ამ მოთხრობამ?

როგორი ადამიანია მისაბაძი? ვის ჰბაძავ შენ?

დაიმახსოვრე!

მოძებნე, როგორ არის ტექსტში ნათქვამი: „სთხოვა ქეთინომ“, „მოაგონდა, ქეთინო დიდი ხნის ნაავადმყოფარი რომ იყო“. **სთხოვა** სხვაგვარად არის **შეეხვეწა; მოაგონდა - გაახსენდა.** ეს სიტყვები მსგავსი შინაარსის სიტყვებია. ასეთ სიტყვებს შეიძლება მ ს გ ა ვ ს ი ს ი ტ ყ ვ ე ბ ი დავარქვათ.

2 ყურადღებით წაიკითხე მოცემული წინადადებები. ხაზგასმული სიტყვები შეცვალე მსგავსი სიტყვებით:

იყო ერთი <u>მშვენიერი</u> ჭაბუკი. მან <u>მრავალი</u> ქვეყანა მოიარა. ერთხელ ჭაბუკს <u>ცბიერი</u> კაცი შეხვდა. კაცმა უთხრა: ვინც უფრო <u>ღონიერი</u> იყოს, შენი ცხენი იმას დარჩესო. <u>გონიერმა</u> ჭაბუკმა კი უთხრა: თუ ჩემს გამოცანას გამოიცნობ, ამ ცხენს მაშინ დაგითმობო.

დავალება:

დაწერე, რა არ მოეწონა გიგის საქციელში ჩემპიონს.

2 კომპლექსური დავალებები

№1. ლომის წერილი თაგვს

წარმოიდგინე, რომ ხარ იაკობ გოგებაშვილის იგავის „თაგვი და ლომი“ პერსონაჟი, კერძოდ, ლომი და ნაწარმოებში მოთხრობილი ამბის შემდეგ წერილს სწერ თაგვს.

მოირგე ლომის როლი და თაგვისადმი მიწერილ წერილში:

- გამოკვეთე, რატომ, რა მიზნით გადაწყვიტე მისთვის წერილის მიწერა;
- წარმოაჩინე ლომის გრძნობები. ასევე წარმოაჩინე, როგორ შეიცვალა ის მომხდარის შემდეგ;
- დაიცავით წერილის აგებულება (მიმართვა, ძირითადი ნაწილი, ხელმოწერა); დასვი სასვენი ნიშნები.

ნაშრომში წარმოაჩინე:

- ვის სწერ, რატომ, რა მიზნით გადაწყვიტე მისთვის მიგეწერა;
- როგორი აგებულება აქვს წერილს (მიმართვა – მისალმება, ძირითადი ნაწილი, ხელმოწერა);
- რატომ ფიქრობ, რომ ასეთ წერილს მისწერდა ლომი თაგვს.

№2. ამბის შეთხზვა იმის შესახებ, თუ როგორ დაეხმარა სუსტი თავისზე ძლიერს.

გაიხსენე და წერილობით გადმოეცი შემთხვევა შენი ცხოვრებიდან (ან შენი ნაცნობ-მეგობრის ცხოვრებიდან/ნანახი მულტფილმიდან/წიგნიდან), როცა სუსტი დაეხმარა თავისზე ძლიერს. ამბავი დაასათაურე.

ნამუშევრის წარდგენისას წარმოაჩინე:

- რით დაიწყო, გაგრძელდა და დასრულდა ამბავი;
- დეტალები – ვის დასჭირდა დახმარება, ვინ დაეხმარა და როგორ;
- რომელი საინტერესო სიტყვები გამოიყენე;
- რატომ დაასათაურე ამბავი ამგვარად.

სიტყვის კაცი

ერთხელ ზაქარიას მჭადის სახელი დაავიწყდა.

რა არ გაიხსენა ბიჭმა – პური, ქადა, კვერი, ნაზუქი, ხაჭაპური ხომ გაიხსენა და გაიხსენა! აი, მჭადის სახელი კი არა და არ გაახსენდა.

იდგა დაბნეული ზაქარია და არ იცოდა, რა ექნა, რა ეღონა.

ამ დროს ვიღაც კაცმა ჩამოიარა. ნიავივით მსუბუქად მოდიოდა. ზურგით სკივრი მოჰქონდა. სკივრზე უცხო ფრინველი იჯდა.

– როცა გშია, ზაქარია, ცივი მჭადიც შაქარია, – ჩაილაპარაკა კაცმა თავისთვის.

– მჭადი! – გაახსენდა ზაქარიას მჭადის სახელი და გაუხარდა.

კაცს გაეცინა, უცხო ფრინველი აჭიკჭიკდა.

– ვინა ხარ, ან ჩემი სახელი საიდან იცი? – ჰკითხა გაკვირვებულმა ზაქარიამ.

– მე ყველაფერი ვიცი. სიტყვები მაქვს მოგბარებული. თუ გინდა, სიტყვის კაცი დამიძახე.

ზაქარიამ მიმოიხედა და მარტო მჭადის სახელი კი არა, ყველა დავიწყებული სიტყვა გაახსენდა.

გაიფიქრა, მადლობას ვეტყვიო.

სიტყვის კაცი აღარსად ჩანდა. წასულიყო.

პაატა მამფორია

1. რა დაავიწყდა ზაქარიას?
2. რა გაიხსენა ზაქარიამ დავიწყებული სიტყვის ძებნაში?
3. ვინ გამოჩნდა გზაზე? რა მოჰქონდა უცხო კაცს?
4. რა ჩაილაპარაკა უცხო კაცმა?
5. რა გაუკვირდა ზაქარიას?
6. როგორ გაეცნო უცნობი ზაქარიას?
7. რა შეიცვალა სიტყვის კაცთან შეხვედრის შემდეგ?

ეს საინტერესოა

სიტყვის კაცის სკივრი

სიტყვის კაცს სიტყვები ჰქონდა მიბარებული. ის ამ სიტყვებს უცნაურ სკივრში ინახავდა. ეს სკივრი თქვენც გეკუთვნით. მოიძიეთ „სიტყვის სკივრში“ თქვენთვის უცნობი სიტყვები. წაიკითხეთ, რას ნიშნავს ნაზუქი, კვერი, წამსვე.

სიტყვის სკივრი

ნაზუქი – რძესა და ერბოში მოზელილი ტკბილი პური.
კვერი – პატარა მრგვალი პური.
წამსვე – მაშინვე, სწრაფად.

ვთამაშობთ და ვსწავლობთ

„რას რა ჰქვია“.

თამაშში მონაწილეობს ორ-ორი ჯგუფი. ერთ ჯგუფს გადაეცემა ფურცელზე დაწერილი სიტყვა, რომელიც მან ისე უნდა ახსნას, რომ მეორე ჯგუფმა სიტყვა გამოიცნოს.

კროსვორდი – თითოეულ სიტყვას მოუძებნე შესაბამისი განმარტება.

დავალება:

გაეცი პასუხი მესამე და მეოთხე კითხვებს და ჩაწერე რვეულში.

ზღაპრული სკივრი

არსებობს ქვეყნად სკივრი,
სად პასუხია ყოვლის:
– რა აჩენს ცისარტყელას?
– სად იბადება თოვლი?

– რად გაიელვა ცაში?
– რატომ გავარდა მეხი?
– რამ დაამწიფა ყანა?
– რატომ ასხია ხეხილს?

– რა ხდება ზღვების ფსკერზე?
– რა არის მიწის შიგნით?
ამას ყველაფერს გეტყვის,
თუ შეიყვარე წიგნი.

დავით ჯავახიშვილი

1. რა ყოფილა „ზღაპრული სკივრი?“
2. სად ყოფილა ყველა კითხვის პასუხი?
3. ლექსში მოცემული კითხვებიდან ყველაზე მეტად რომელი გაინტერესებს?

ეს საინტერესოა

რა ვიცით წიგნის შესახებ?

წიგნი უხსოვარი დროიდან არსებობს. ძველად წიგნებს ხელით წერდნენ სხვადასხვა მასალაზე: თიხის ფირფიტებზე, ტყავზე... მოგვიანებით გამოიგონეს ქაღალდი, შექმნეს სტამბა.

თქვენ უკვე თანამედროვე, ფერადნახატებიან ნაბეჭდ წიგნებს კითხულობთ.

დააკვირდით სურათებს. მათზე მოცემულია ორი წიგნის ყდა. წიგნის ყდას მის გარეკანს ვეძახით, რომელზედაც ავტორი და სათაური იწერება. რა სათაური აწერია პირველ წიგნს?

ვინ არის მისი ავტორი? ვინ არის მეორე წიგნის ავტორი? რა აწერია მას?

წიგნებს სარჩევი დაერთვის ხოლმე. სარჩევში მოცემულია, რომელი მოთხრობა რომელ გვერდზე უნდა ვნახოთ.

გადაშალეთ თქვენი სახელმძღვანელოს სარჩევი. მოძებნეთ, რომელ გვერდზეა თქვენ მიერ შესწავლილი ნაწარმოებები: „ყოჩაღი ბიჭი“, „მსოფლიოს ჩემპიონი“, „სამი ბიჭი“.

სახატავ ფურცლებზე დახატეთ შარლ პეროს ზღაპარ – „წითელქუდას“ ყდა. გაუკეთეთ ყდას შესაბამისი წარწერები.

დაიმახსოვრე!

ლექსში ნათქვამია: „არსებობს ქვეყნად სკივრი, სად პასუხია ყოვლის“. შემდეგ ჩამოთვლილია – რა აჩენს ცისარტყელას? სად იბადება თოვლი? და სხვა. ეს წინადადებები შეკითხვებს გამოხატავს. ასეთ წინადადებას კ ი თ ხ ვ ი თ ი წ ი ნ ა დ ა დ ე ბ ა ჰქვია. კითხვითი წინადადების ბოლოს იწერება **ნიშანი- ?** ამ ნიშანს ჰქვია კითხვის ნიშანი.

მოძებნეთ და რიგრიგობით წაიკითხეთ კითხვითი წინადადებები. რამდენი კითხვითი წინადადებაა ლექსში?

წაიკითხე წინადადებები და დაასახელე, რომელი სასვენი ნიშანი უნდა იყოს დასმული:

– მგელო, მგელო, რატომ გაქვს ასეთი დიდი თვალები
– იმიტომ, რომ კარგად დაგინახო
– მგელო, მგელო, რატომ გაქვს ასეთი დიდი ყურები
– იმიტომ, რომ კარგად მოგისმინო
– მგელო, მგელო, რატომ გაქვს ასეთი დიდი ხელები
– იმიტომ, რომ კარგად მოგეხვიო

დავალება:

გაეცი პასუხი კითხვებს: რომელი წიგნი გიყვარს ყველაზე მეტად? რატომ გიყვარს ეს წიგნი?

ეკამ წერილი მიიღო

ეკა სკოლიდან დაბრუნდა. საფოსტო ყუთში წერილი დახვდა, ეკამ წერილი გახსნა და წაიკითხა:

გამარჯობა, ჩემო კარგო!

შენმა წერილმა ძალიან გამახარა. ბევრი კითხვა გაგჩენია. სიამოვნებით გიპასუხებ. სიტყვა გულთბილი ერთად იწერება, გულის ფანცქალით – ცალ-ცალკე. მამა-შვილს შუაში პატარა ხაზი სჭირდება. მაგ პატარა ხაზს რა ჰქვია, მერე გაიგებ. ასევე იწერება და-ძმა, დედ-მამა, სახლ-კარი.

შენ მეკითხები: როგორ გამოიყურებიო?

აბა, რა გითხრა? – ერთი ჩვეულებრივი კაცი ვარ, არც ძალიან ხნიერი და არც ძალიან ახალგაზრდა. მაქვს სიტყვებით სავსე ერთი სკივრი. ერთი მგალობელი ჩიტიც მყავს. ეს არის და ეს.

ველი შენს წერილს.

შენი სიტყვის კაცი

პაატა მამფორია

1. ვისი წერილი მიიღო ეკამ?
2. რას უწონებს სიტყვის კაცი ეკას?

სიტყვის სკივრი

გულის ფანცქალი – ხშირი, გამალებული გულისცემა.

ეს საინტერესოა

დააკვირდი სიტყვებს

როგორც ჩანს, ეკას სიტყვის კაცისთვის ასეთი კითხვები დაუსვამს:

როგორ იწერება სიტყვა გულთბილი?
როგორ იწერება გულის ფანცქალით?
სჭირდება თუ არა სიტყვა მამა-შვილს შუაში პატარა ხაზი?

ამის შემდეგ თქვენც დააკვირდით, როგორ იწერება სიტყვები.

დააკვირდი სიტყვებს

უკარნახეთ ერთმანეთს მოცემული სიტყვები და ჩამოწერეთ დაფაზე:

გაგჩენია გულთბილი ჰქვია

მისწერე წერილი სიტყვის კაცს.

წერილის სტრუქტურა:



აეროპორტში უამრავი ხალხი ირეოდა.

მგზავრები რიგში იდგნენ.

– ამ ჩიტს ვერ გაგატანთ, – უთხრა მორიგე თანამშრომელმა მგზავრს.

– რა დააშავა? – იკითხა ჩიტის პატრონმა მგზავრმა.

– გალიის გარეშე ჩიტის მგზავრობა სასტიკად აკრძალულია!

– კარგი, ბატონო, ფრენით წამომყვება, თქვენს თვითმფრინავს მაინც ჩაასწრებს, – თქვა მგზავრმა.

– არც ამ ყუთის წაღება შეიძლება!

– რატომ?

– წონა არა აქვს და იმიტომ.

– ეგ ჩვეულებრივი ყუთი არ გახლავთ, ძალიან მსუბუქიც არის და ძალიან მძიმეც, – თქვა მგზავრმა.

– არაჩვეულებრივი ყუთების გატანების უფლება არა გვაქვს.

– კარგი, მაშინ დავტოვებ.

– სად უნდა დატოვოთ?

– მეორე კლასის სახელმძღვანელოში.

– თქვენ სად მიფრინავთ? – ჰკითხა დაბნეულმა მორიგემ მგზავრს.

– ქუთაისში.

– რა მიზნით?

– პატარა მატასის სიტყვა დაავიწყდა და უნდა შევახსენო.

– რა დაავიწყდა?!

– ცაზე აქა-იქ რომ ქათქათა ღრუბელია, იმისი სახელი.

– რა სახელი?

– იალკიალი.

– რაო?

– ი-ალ-კი-ალ-ი – დაუმარცვლა მგზავრმა.

მორიგემ ხელი ჩაიქნია და მგზავრი გაატარა.



თვითმფრინავი ცაში აიჭრა.

მორიგემ აეროპორტის ვეებერთელა ფანჯარაში გაიხედა. ლურჯ ცაზე აქა-იქ ბატკანივით ფუმფულა ქათქათა ღრუბლები მიმოფანტულიყო. ქუთაისის თვითმფრინავს კუდში ჭრელბოლოიანი ფრინველი მისდევდა.

პაატა მამფორია

1. სად და რისთვის მიფრინავს მგზავრი?
2. რატომ არ ატანენ მგზავრს ჩიტს და ყუთს?
3. სად დატოვა უცნაურმა მგზავრმა თავისი ყუთი?
4. თუ იცანი, ვინ არის უცნაური მგზავრი?

მოძებნე და წაიკითხე, რა დაინახა აეროპორტის ფანჯრიდან მორიგემ? რა ჰქვია ამგვარ ღრუბელს?

დააკვირდი სიტყვებს

უკარნახეთ ერთმანეთს მოცემული სიტყვები და ჩამოწერეთ დაფაზე:

თვითმფრინავი არაჩვეულებრივი ჭრელბოლოიანი

რატომ არის სიტყვის კაცის ყუთი ძალიან მსუბუქიც და ძალიან მძიმეც? დაასახელე სწორი პასუხი:

1. მოკლე სიტყვა შეიძლება მსუბუქი იყოს, გრძელი სიტყვა კი – მძიმე;
2. სიტყვას ხელში ვერ აიღებ, ვერ აწონი, მაგრამ ნათქვამ სიტყვას დიდი მნიშვნელობა და დიდი წონა აქვს;
3. ყუთში ჩაწყობილი სიტყვები უწონოა, თავად ყუთი კი – მძიმე.

დაიმახსოვრე!

სრული და არასრული პასუხი

შეკითხვას ხან სრულად ვპასუხობთ, ხან – არასრულად.

მაგალითად: – თქვენ სად მიფრინავთ?
– ქუთაისში.

ამ შეკითხვას მგზავრმა მოკლედ უპასუხა. ეს არასრული პასუხია.

სრული პასუხი კი ასეთი იქნება:
– თქვენ სად მიფრინავთ?
– მე ქუთაისში მივფრინავ.

2 **ყურადღებით წაიკითხე წინადადებები. არასრული პასუხის ნაცვლად გაეცი სრული პასუხი:**

– სად მიფრინავდა მგზავრი?
– ქუთაისში.

– რა მიჰქონდა სიტყვის კაცს?
– სკივრი.

– ვისთან მიდიოდა სიტყვის კაცი?
– მატასისთან.

– სად დატოვა უცნაურმა მგზავრმა თავისი ყუთი?
– მეორე კლასის სახელმძღვანელოში.

– რა დაინახა მორიგემ ფანჯარაში?
– იალკიალი.

დავალება:

გაეცი პასუხი პირველ, მესამე და მეოთხე კითხვებს და ჩაწერე რვეულში.

ზღაპარში დაკარგული ბიჭის ამბავი

იდეების ორგანიზება

თხრობის სამნაწილიანი სტრუქტურა

დასაწყისი	როგორ და რომელ ზღაპარში დაიკარგა ბიჭი?
შუა ნაწილი	ვის შეხვდა იგი ზღაპარში ? ვინ დაეხმარება ბიჭს დაბრუნებაში? რამ შეიძლება იგი დააბრუნოს? სიტყვები ან გამოცანები ხომ არ დაეხმარება?
დასასრული	როგორ დაბრუნდა ბიჭი სახლში.

მოვიგონოთ პერსონაჟები

ბიჭი – მთავარი პერსონაჟი	რამხელაა?
დადებითი პერსონაჟი	რა ჰქვია?
უარყოფითი პერსონაჟი	როგორია ბუნებით, ხასიათით?

3 კომპლექსური დავალებები

№1. წერილი სიტყვის კაცს.

მისწერე სიტყვის კაცს წერილი.

- წერილში გამოკვეთე, რა მიზნით სწერ წერილს (მაგ: პატივისცემის, შთაბეჭდილების გამოხატვის, კითხვების დასმის სურვილით).
- წარუდგინე შენი თავი და წარმოაჩინე, რატომ არის ის შენთვის გამორჩეული, მისი რომელი თვისება მოგწონს ყველაზე მეტად. რაზე დაგაფიქრა?
- დაიცავი წერილის აგებულება (მისალმება, ძირითადი ნაწილი, დამშვიდობება, ხელმოწერა).
- დასვი სასვენი ნიშნები.
- მკითხველის თვალით წაიკითხე პირველადი ვარიანტი და გააუმჯობესე იგი კრიტერიუმების საფუძველზე, შემდეგ გადაწერე და გააფორმე.

ნამუშევრის წარდგენისას წარმოაჩინე:

- რატომ, რა მიზნით გადაწყვიტე წერილის მიწერა;
- როგორი აგებულება აქვს შენს წერილს.

№2. ამბის შეთხზვა – ზღაპარში დაკარგული ბიჭის ამბავი

მოიფიქრე და დაწერე ამბავი ბიჭზე, რომელიც ზღაპარში დაიკარგა.

ნაშრომში:

- წარმოაჩინე, ვინ არიან პერსონაჟები;
- გადმოეცი, რით დაიწყო, გაგრძელდა და დასრულდა ამბავი;
- გამოკვეთე ამბის დეტალები – რა ასაკისაა? რა ჰქვია? რა თვისებები აქვს? როგორ და რომელ ზღაპარში დაიკარგა ბიჭი; ვის შეხვდა იგი ზღაპარში; ვინ და როგორ დაეხმარება ბიჭს დაბრუნებაში (მაგალითად, სიტყვები ან გამოცანები ხომ არ დაეხმარება შინ დაბრუნებაში);
- წინადადებების შინაარსის გათვალისწინებით, დასვი სასვენი ნიშნები;
- დიალოგში გამოიყენე სრული და არასრული პასუხები;
- შენს შეთხზულ ამბავს შეურჩიე სათაური.

ნამუშევრის წარდგენისას წარმოაჩინე:

- რით დაიწყო, გაგრძელდა და დასრულდა ამბავი;
- რომელი დეტალები მიანიშნებს, რომ ბიჭი ზღაპრულ სამყაროშია;
- როგორ პასუხებს იყენებენ პერსონაჟები დიალოგში სრულს თუ არასრულს? მოიყვანე მაგალითები;
- შენ მიერ გამოყენებული რომელი სიტყვები, წინადადებები მოგწონს ყველაზე მეტად;
- ახსენი, რატომ დაასათაურე ამბავი ამგვარად.

4 ჩვენი ოთხფეხა მეგობრები

ხვთისო

მასწავლებელს ეცინება
და ხმაც უცინისო:
– ჩანთა ასე გაბერილი
რატომა გაქვს, ხვთისო?
ხვთისოს თავი დაუხრია,
იყურება ძირსო...
და გაისმა კლასში ხმები:
– ფისო უზის, ფისო!
აი, გახსნეს ხვთისოს ჩანთა
და იქ, წიგნის ძირსო,
იწვა თვალებმინაბული,
პაწაწინა ფისო.
რა ქნას ხვთისომ... ხუჭუჭა თავს
უფრო დაბლა ხრისო,
მასწავლებლის ჩრდილს უყურებს,
აქსუტუნებს ცხვირსო.
მასწავლებელს ეცინება
და ხმაც უცინისო:
– ცხოველების სიყვარული
კარგი არის, ხვთისო!

ვაჟა ხორნაული

როგორია ეს ლექსი?

ჭკუას გვარიგებს; სახალისოა; დამაფიქრებელია.

1. რამ გაამხიარულა ბავშვები?
2. როგორ შეხვდა მასწავლებელი ამ ამბავს?
3. რატომ დაიმორცხვა ხვთისომ?
4. ცხოველების სიყვარული კარგია, მაგრამ რა არ უნდა ექნა ხვთისოს?

როგორ გესმით
„მასწავლებელს ეცინება და ხმაც უცინისო“. შეარჩიე სწორი პასუხი:

1. ხმამაღლა ეცინება;
2. ხმაზე ეტყობა, რომ ვერ უბრაზდება ხვთისოს.

დაიმახსოვრე!

სულიერი და უსულო

გავიხსენოთ, რა აქვს ხვთისოს ჩანთაში: აქვს წიგნი, მაგრამ ჩანთაში რა ჰყავს? ჩანთაში ჰყავს ფისო. კატაზე ვამბობთ ჰყავს, ხოლო წიგნი აქვს. ეს იმიტომ რომ წიგნი **უსულო** საგანია, ფისო კი – ცოცხალი, **სულიერი.** სიტყვები შეიძლება აღნიშნავდეს ს უ ლ ი ე რ და უ ს უ ლ ო საგნებს.

გადაანაწილე სულიერი და უსულო საგნების აღმნიშვნელი სახელები შესაბამის ყუთებში.

დაასახელე, ჩამოთვლილი სიტყვებიდან რომელია სულიერი:

ფუტკარი	ყვავილი	ადამიანი	თაფლი
ფოთოლი	წიგნი	ჭიანჭველა	პეპელა
გოგონა	არწივი	მანქანა	მამალი

როგორ იყიდა ულემ ელვა

ულე რვა წლის ბიჭია, იგი პატარა სოფელ ბიულერბიუში ცხოვრობს. ჩვენს ულეს არც ძმები ჰყავს, არც დები. სამაგიეროდ, ძაღლი ჰყავს. მის ძაღლს ელვა ჰქვია. ახლა გიამბობთ, როგორ მოხვდა ელვა ულესთან.

სოფლის ხარაზი ისეთი უპიროა, თუნდაც დაგპირდეს, მაინც არ შეგიკეთებს დროზე ფეხსაცმელს. წინათ ელვა მასთან ცხოვრობდა. ხარაზი ცუდად ექცეოდა და ისიც ყველაზე ავი ძაღლი იყო მთელ სოფელში, ყოველთვის ჯაჭვით იყო დაბმული და, თუ ვინმეს თვალს მოჰკრავდა, ღრენა-ყეფით გამოუვარდებოდა.

ერთხელ ულემ ხარაზს თავისი ფეხსაცმელები წაუღო დასაკერებლად. ძაღლი ჩვეულებისამებრ ყეფით გამოვარდა თავისი ხუხულადან. ისე იყო გამძვინვარებული, ულე გასაგლეჯად არ ენანებოდა. ულე შეჩერდა და ლაპარაკი დაუწყო:

– კარგი და კეთილი ძაღლი ხარ, ოღონდ ძალიან ხმამაღლა ყეფო, – ეუბნებოდა.

მეორე დღეს ულემ თავის ფეხსაცმელებს მიაკითხა, თანაც ელვას ძვალი მიუტანა. ძაღლმა ძველებურად შეუღრინა, მაგრამ ძვალს მაინც დაუწყო ღრღნა, ეტყობა, ძალიან შიოდა. ულე შორიახლო იდგა და ისევ იმას ეუბნებოდა, რა კარგი და კეთილი ძაღლი ხარო.

ხარაზი სულ ატყუებდა და ატყუებდა და ულეს ბევრჯერ მოუხდა მასთან მისვლა. ყოველ მისვლაზე ხან რას მიუტანდა და ხან – რას ელვას და, წარმოიდგინეთ, ერთ მშვენიერ დღეს ელვამ ულეს კი აღარ შეუღრინა, სიხარულით შეუყეფა. ულე მივიდა და მოეფერა. ძაღლმაც გაულოკა ხელი.

***

იმ ხანებში ხარაზი წაიქცა და ფეხი იღრძო. სიარული რომ აღარ შეეძლო, ელვას მოვლას მთლად გაანება თავი. ულეს შეეცოდა ძაღლი და ხარაზს სთხოვა, სანამ ფეხი გტკივა, ნება მომეცი, ელვას მე ვაჭამოო.

ულემ გაწმინდა ძაღლის სადგომი, შიგ ახალი თივა ჩააფინა, გარეცხა ჯამი და შიგ სუფთა წყალი ჩაასხა. ძაღლს აჭამა და ბიულერბიუში წაიყვანა სასეირნოდ. ელვა გახარებული ხტოდა, მოჰბეზრებოდა, სულ ჯაჭვით რომ იყო დაბმული. ხარაზს რომ ფეხი მოურჩა, ულეს უთხრა:

– ნუ ტუტუცობ! ეგ ეზოს ძაღლია და ჯაჭვით უნდა იყოს დაბმული!

ელვა ელოდა, ულე სასეირნოდ წამიყვანსო, და გახარებული ხტოდა. მაგრამ ულე მარტო წავიდა. დაღამდა და საცოდავად აყმუვლდა ელვა. ულეც დასევდიანდა და რამდენიმე დღე თავგზააბნეული დადიოდა.

ბოლოს მამამისმა, ძია ნილსმა, ვეღარ მოითმინა, მივიდა ხარაზთან და იყიდა ელვა. ხარაზიც ისე გაბეზრებულიყო ელვას ყმუილით, ერთი სული ჰქონდა, თავიდან მოეშორებინა.

ასტრიდ ლინდგრენი

დააკვირდი ნახატს. ამ ნახატის გათვალისწინებით გააგრძელე მოთხრობა.

სიტყვის სკივრი

ბიულერბიუ – სოფელი შვედეთში.
ხარაზი – ფეხსაცმელების მკერავი.
უპირო – ის, ვინც პირობას არ ასრულებს.
ხუხულა – იგივე ბუდრუგანა, ძაღლის სადგომი.

1. როგორი კაცი იყო ხარაზი?
2. რატომ იყო ხარაზის ძაღლი გაავებული?
3. როგორ ექცეოდა ულე ძაღლს?
4. რა სთხოვა ულემ ხარაზს, როდესაც მან ფეხი იტკინა?
5. როგორ უვლიდა ულე ელვას?
6. რატომ გადაწყვიტა ულეს მამამ ძაღლის ყიდვა, ხოლო ხარაზმა – გაყიდვა?

სასაუბრო

თქვენ თუ გყავთ შინაური ცხოველი? როგორია იგი? როგორ უვლით მას?

დაიმახსოვრე!

დააკვირდი მაგალითს: ულემ ხარაზს <u>თავისი</u> ფეხსაცმელები წაუღო. ბავშვებმა ხარაზს <u>თავიანთი</u> ფეხსაცმელები წაუღეს.

გაიხსენე მხოლობითი და მრავლობითი. თუ სიტყვა მხოლობითშია, მაგალითად – ულე, გამოვიყენებთ **თავისი**, ხოლო თუ მრავლობითშია, მაგალითად – ბავშვები, გამოვიყენებთ **თავიანთი**.

დააკვირდი სიტყვებს

უკარნახეთ ერთმანეთს მოცემული სიტყვები და ჩამოწერეთ დაფაზე:

მოჰკრავდა	ღრენა-ყეფით	შორიახლო
ყეფს	თავგზააბნეული	მოჰბეზრებოდა

დავალება:

დაწერე, როგორი ბიჭია ულე.

4 კომპლექსური დავალებები

№1. თხრობა მთხრობლის შეცვლით

მოირგე ელვას როლი, წარმოიდგინე, როგორ მოუყვებოდა იგი წლების შემდეგ თავის ლეკვს თავს გადამხდარ ამბავს. ამბავი დაასათაურე, შეგიძლია გააფორმო ნახატებით.

ნაშრომში გადმოეცი:

- ვინ იყო ელვას პირველი პატრონი და როგორ ექცეოდა იგი ძაღლს;
- ელვას ფიქრები, გრძნობები, დამოკიდებულებები ადამიანების მიმართ ულეს გაცნობამდე;
- როგორ გაიცნო ელვამ ულე და როგორ შეიცვალა ელვა ულეს გაცნობის შემდეგ;
- როგორ შეცვალა ულემ ელვას ცხოვრება.

ნაშრომის წარდგენისას წარმოაჩინეთ:

- რატომ ფიქრობ, რომ ასე მოჰყვებოდა ელვა თავის ამბავს;
- რისი თქმა გინდოდა ამ ამბით; რით უკავშირდება შენი ამბავი ტექსტის მთავარ სათქმელს;
- რა შეიცვალა და რა – არა ამბავში მთხრობლის შეცვლით.

№2. ამბის შეთხზვა ბიჭზე, რომელსაც ცხოველები არ უყვარდა

მოიფიქრე ამბავი ბიჭზე, რომელსაც არ უყვარდა ცხოველები, მაგრამ ერთხელ თავს გადამხდარმა შემთხვევამ დაარწმუნა, რომ ცხოველებს მეგობრობა შეუძლიათ. ამბავი დაასათაურე და გააფორმე ილუსტრაციებით.

თხრობისას:

- წარმოაჩინე, რით დაიწყო, გაგრძელდა და დასრულდა ამბავი;
- გამოიყენე საინტერესო, მრავალფეროვანი სიტყვები;
- თანამიმდევრობის აღმნიშვნელი სიტყვები;
- გამოკვეთე სხვადასხვა დეტალი – რატომ არ უყვარდა ცხოველები, რა მოხდა მის ცხოვრებაში, რამაც შეცვალა მისი დამოკიდებულება ცხოველების მიმართ;
- რატომ დაასათაურე ამბავი ამგვარად.

5 ერთმანეთზე ზრუნვა

კეთილი ბერიკაცი

ბერიკაცი ბაღში ხეჭეჭურის ნერგს რგავდა. მოვიდა ერთი ყმაწვილი და ჰკითხა:

– ბიძია, როდის დაისხამს თქვენი დარგული მსხალი ნაყოფს?

– თუ კარგად იხარა, ათი წლის შემდეგ, – უთხრა ბერიკაცმა.

– მერედა, თქვენ მოესწრებით მაგ ხის ნაყოფს?

– მე ალბათ ვერ მოვესწრები, მაგრამ თქვენ მოესწრებით, შვილო, გაიხარებთ და მომიგონებთო, – მიუგო კეთილმა ბერიკაცმა.

იაკობ გოგებაშვილი

1. რას აკეთებდა ბერიკაცი?
2. რა ჰკითხა ყმაწვილმა ბერიკაცს?
3. რა უპასუხა ბერიკაცმა ყმაწვილს?

სასაუბრო

ისაუბრეთ, რატომ ჰქვია ამ მოთხრობას „კეთილი ბერიკაცი“?

1 **განმარტე, რა არის** ბაღი, ყანა, ვენახი.

2 **დაასახელე, რისი ნაყოფია:**

ტარო მტევანი თავთავი

გააგრძელე მოთხრობა, გამოიყენე მოცემული ჩარჩო:

საყრდენი ჩარჩო ტექსტის გასაგრძელებლად.

მოთხრობაში		მოთხრობის გაგრძელებაში
როდის მოხდა მოქმედება?	მოქმედების დრო.	როდის ხდება მოქმედება?
სად მოხდა მოქმედება?	მოქმედების ადგილი.	სად ხდება მოქმედება?
როგორია მსხლის ხე?	როგორი?	როგორია წლების შემდეგ მსხლის ხე?
ვინ არიან ნაწარმოების პერსონაჟები? როგორია ბერიკაცი?	პერსონაჟები.	ვინ არიან ამბის გაგრძელებაში მოცემული პერსონაჟები?
რას აკეთებს ბერიკაცი? რას ამბობს იგი?	მოქმედება.	• რას აკეთებენ პერსონაჟები? • რას ამბობენ? • გაიხსენებდა თუ არა რომელიმე პერსონაჟი ბერიკაცის სიტყვებს? • რატომ?
რა არის მოთხრობის მთავარი სათქმელი – რისი თქმა უნდა ავტორს?	მთავარი სათქმელი.	რა არის მოთხრობის შენეული გაგრძელების მთავარი სათქმელი? რისი თქმა გინდოდა შენ?

რა არის ამ მოთხრობის დედააზრი.
შემოხაზე სწორი პასუხი.

1. ბერიკაცს ხეჭეჭური უყვარს;
2. ბერიკაცი მომავალ თაობაზე ფიქრობს და ზრუნავს;
3. ბერიკაცი მსხლის ახალი ჯიშის გახარებას ცდილობს.

აღწერე სურათი

იმუშავეთ ჯგუფებად

დაიყავით ჯგუფებად. დააკვირდით სურათს, შეადგინეთ მოკლე ამბავი და დაასათაურეთ. წაუკითხეთ ერთმანეთს თქვენი მოთხრობები.

პატარა კალათა

კიკნა ბიჭი და სოფიკო ორღობეში შეხვდნენ ერთმანეთს.

– გამარჯობა, კიკნა! – მიესალმა სოფიკო.

– ღმერთმა მშვიდობა მოგცეს! – დიდივით მიუგო ბიჭმა.

– კიკნა, პატარა კალათა ხომ არა გაქვს?

– დიდ კალათას მოგცემ, პატარაში რა ჩაეტევა?!

– სკოლაში სპექტაკლს ვდგამთ. წითელქუდა კნაჭა მაშიკოა. ბებიასთან დიდი კალათით ხომ არ წავა... რა ვქნა, რა წყალში ჩავვარდე?

– კარგი, მაშინ მე მოგიწნავთ პატარა კალათას, – თქვა კიკნამ.

– მერედა შეძლებ?

– შენ ჩემი ამბავი არა გცოდნია, ისეთ კალათას მოვწნავ, ერთი ხელი მეორეს ეხვეწებოდეს, ცოტა ხანს დამაჭერინეო.

– აბა, შენ იცი, კიკნა!

კიკნამ სახლში ტირიფის წნელები მიიტანა და კალათის წვნას შეუდგა. ადვილი საქმე ეგონა, მაგრამ მოტყუვდა. ერთი კალათა დაბრეცილი გამოუვიდა, მეორე – უშნოდ პირდაფჩენილი. კიკნამ გული მაინც არ გაიტეხა და მესამე კალათის წვნას შეუდგა.

ბევრი იწვალა. წნა, წნა და ბოლოს კოპწია კალათა მაინც მოწნა.

დედამ ნახელავი ძალიან მოუწონა.

გახარებულმა ბიჭმა კალათას ხელი დასტაცა და სკოლისაკენ მოკურცხლა.

გზაში გაუწვიმდა, თავსხმა წვიმაში სველი ფეხსაცმელები დაუმძიმდა, შესცივდა, მაგრამ არ შეიმჩნია.

ბევრი ირბინა თუ ცოტა, მიადგა აღმართს. ძალა მოიკრიბა და ეს აღმართიც აირბინა.

ეს რა შეუპოვარი ბიჭი ყოფილაო, – გაიფიქრა საავდრო ღრუბელმა და სირცხვილნაჭამი სადღაც გადაიკარგა. ცაზე მზე გამობრწყინდა.

მალე სკოლაც გამოჩნდა.

მოწყენილი ბავშვები ფანჯარასთან იდგნენ. კიკნა ბიჭის დანახვაზე ყიჟინა მორთეს.

მირბოდა კიკნა ბიჭი და მიაკონწიალებდა პატარა კალათას, რომელიც სავსე იყო მეგობრების სიყვარულით.

ქეთევან ჭილაშვილი

1. რისთვის უნდოდა სოფიკოს პატარა კალათა?
2. რას დაჰპირდა კიკნა სოფიკოს?
3. რა მიიტანა კიკნამ სახლში კალათის დასაწნავად?
4. როგორი საქმე ეგონა კიკნას კალათის დაწვნა?
5. რამდენი კალათა დაწნა კიკნამ? რომელი კალათა როგორი იყო?
6. რა გასაჭირი გადაიტანა კიკნამ გზაში?

სიტყვის სკივრი

ორღობე – სოფლის ვიწრო გზა ღობეებს შორის.
კნაჭა – პატარა და გამხდარი.
წნელი – ხის წვრილი მოქნილი ტოტი.
კოპწია – პატარა და კოხტა.

დააკვირდი სიტყვებს

წითელქუდა წვნა პირდაფჩენილი სირცხვილნაჭამი

მოძებნეთ მოთხრობაში ქვემოთ ჩამოთვლილი სათაურების შესაბამისი ეპიზოდები. თითო მოსწავლემ თითო ეპიზოდი წაიკითხოს.

1. კიკნა ბიჭისა და სოფიკოს შეხვედრა;
2. კიკნა ბიჭი კალათას წნავს;
3. გზაში;
4. კიკნა ბიჭის მოლოდინში.

მოცემული ეპიზოდებიდან რომელია დასაწყისი, რომელი – შუა ნაწილი, რომელი – დასასრული.

1 როგორ გესმის გამონათქვამი: კალათა სავსე იყო მეგობრების სიყვარულით. შეარჩიე სწორი პასუხი:

1. კალათა სავსე იყო მეგობრებისათვის განკუთვნილი საჩუქრებით.
2. ეს კოპწია კალათა კიკნა ბიჭს მეგობრების სიყვარულმა გააკეთებინა.

2 მოცემული ჩამონათვალიდან რომელი შეეფერება კიკნა ბიჭს?

კარგი მეგობარი	გულგრილი	შრომისმოყვარე
უპასუხისმგებლო	ზარმაცი	ერთგული
გულითადი	ყოჩაღი	მატყუარა

3 დაასახელე, რომელი საკუთარი სახელები შეგხვდა მოთხრობაში.

დაიმახსოვრე!

როგორი შეიძლება იყოს კალათა? პატარა, დიდი, დაბრეცილი, პირდაფჩენილი, კოპწია.

ყველა ამ სიტყვას დაესმის კითხვა როგორი და ახასიათებს საგანს, ამ შემთხვევაში – კალათას.

იმუშავეთ წყვილებად

ჩამოწერეთ, როგორი შეიძლება იყოს ვაშლი. შეეცადეთ რაც შეიძლება მეტი სიტყვა მოიფიქროთ.

დავალება:

დაწერე, რა გასაჭირი გადაიტანა კიკნამ გზაში.

მზექალა და თინა

სკოლიდან მოცუნცულებდა
პაწაწკინტელა თინა,
თოვლი ბარდნიდა, ქარბუქი
ელობებოდა წინა.

როგორც მზექალა გაცივდა,
რომ არ გაცივდეს თინაც, –
დედიკომ თინას ჩააცვა,
რაც შეიძლება თბილად...

და ახლა, სახლში მისვლამდე,
თბილად ჩაცმულმა თინამ
შარაგზის მარცხნივ, მეზობლის
ეზოში შეირბინა.

შეატყობინა მზექალას, –
რა მისცეს გაკვეთილად,
ურჩია: როცა ადგები,
შენც ჩაიცვიო თბილად.

მუხრან მაჭავარიანი

1. საითკენ მიიჩქაროდა პაწია თინა?
2. როგორ იყო ჩაცმული თინა?
3. რა შეატყობინა თინამ ავადმყოფ მზექალას და რა ურჩია მას?
4. საიდან ჩანს, რომ გოგონები მეზობლები იყვნენ?

სასაუბრო

როგორი გოგონაა თინა? რითია მოსაწონი მისი საქციელი?

დავალება:

დაწერე ლექსის შინაარსი.

დაიმახსოვრე!

ვინ არიან ამ ლექსის პერსონაჟები? – ორი გოგო.
ერთს მზექალა ჰქვია, მეორეს – თინა;
ყველა ადამიანს თავისი სახელი აქვს. ასეთ სახელებს ს ა კ უ თ ა რ ი ს ა ხ ე ლ ე ბ ი ჰქვია.

სავარჯიშო საკუთარ სახელებზე

ყურადღებით წაიკითხე ტექსტი, დაასახელე მასში გამოყენებული საკუთარი სახელები:

თბილისის ერთ მყუდრო ეზოში ცხოვრობდნენ: ნიკო, თამრიკო, ვახტანგი და ლელა. ისინი საუკეთესო მეგობრები იყვნენ. ერთხელ ეზოში თავიანთი ტოლი ბიჭი და პატარა გოგო შენიშნეს.

– შენ ვინ ხარ? – ჰკითხეს ბიჭს.
– მე აქ ვცხოვრობ.
– ჩვენი მეზობელი ყოფილხარ. რა გქვია?
– გიორგი.
– ეს გოგო ვინ არის?
– ჩემი უმცროსი დაა, მაია.

ბავშვები მალე დამეგობრდნენ.

გაითვალისწინე პერსონაჟის რუკა და ტექსტში მოცემული მინიშნებების გამოყენებით ისაუბრე, როგორი გოგოა თინა.

პერსონაჟის რუკა

პერსონაჟის ფიქრები
რას ფიქრობს?
რა აზრები აქვს?

პერსონაჟის გრძნობები
რას გრძნობს?
რას განიცდის?

პერსონაჟის მოქმედებები
რას აკეთებს?
როგორ იქცევა?

პერსონაჟის მიზნები
რა სურს?
რა მიზანი აქვს?

ჭიანჭველა და ფუტკარი

ჭიანჭველა უზარმაზარ ტვირთს მიათრევდა და თან ჩიოდა:

– ჩემოდენა ჯაფაში სულდგმული არ არის, მაგრამ ქება კი არავისგან მესმის. აი, ულონო და ბზუილა ფუტკარი მარტო ყვავილებზე დაფრიალებს, მაგრამ ყველა იმას აქებს. მეტი უსამართლობა კიდევ იქნება?!

ფუტკარმა ეს გაიგონა და უპასუხა:

– ძმაო, შენ მარტო შენი თავისთვის ზრუნავ, ჩემი შრომა კი ადამიანისთვისაც სასარგებლოა. ამიტომაც მაქებს ქვეყანა.



იაკობ გოგებაშვილი

1. რითი იყო ჭიანჭველა უკმაყოფილო?
2. რით სჯობს ფუტკარი ჭიანჭველას?
3. როგორ ადამიანებს შეადარებდით ჭიანჭველასა და ფუტკარს?

სიტყვის სკივრი

სულდგმული – სულიერი, ცოცხალი არსება.

ვთამაშობთ და ვსწავლობთ

გაინაწილეთ ჭიანჭველას, ფუტკრისა და მთხრობლის როლები და ისე წაიკითხეთ ტექსტი.

სასაუბრო

რა არის ამ იგავის დედააზრი?

დავალება:

დაწერე, რა სარგებლობა მოაქვს ფუტკრის შრომას ადამიანისთვის.

როგორ დაიმეგობრა კატამ თაგვი



5 კომპლექსური დავალებები

№1. ნაწარმოების სიუჟეტის გაგრძელება

გააგრძელე მოთხრობა „კეთილი ბერიკაცი“. წარმოიდგინე და წერილობით გადმოეცი, რა მოხდებოდა წლების შემდეგ. ნამუშევარი გააფორმე შესაბამისი ილუსტრაციით ფერადი ფანქრების ან ციფრული რესურსის – „ვსწავლობთ თამაშით“ – გამოყენებით.

ამისათვის

- გამოკვეთე სხვადასხვა დეტალი (როგორი ნახა ყმაწვილმა მსხლის ხე წლების შემდეგ, ვისთან ერთად მოინახულა მსხლის ხე ყმაწვილმა, როგორ მოიგონა ხის დარგვის ამბავი, ახსოვდა თუ არა ბერიკაცის სიტყვები და სხვა);
- გამოიყენე სათანადო სასვენი ნიშნები სხვადასხვა შინაარსის წინადადებებთან.

ნამუშევარში წარმოაჩინე:

- რით, როგორ უკავშირდება შენი ამბავი მოთხრობას, მის მთავარ სათქმელს;
- რატომ გადაწყვიტე მოთხრობის ასე გაგრძელება, რა მინიშნებებსა და ცოდნა – გამოცდილებას დაეყრდენი;
- რაზე დაგაფიქრა ამ ნაწარმოებმა;
- რის საფუძველზე დასვი სასვენი ნიშნები ამგვარად.

№2. კომიქსის შექმნა

გაიხსენე ი. გოგებაშვილის მოთხრობა „ჭიანჭველა და ფუტკარი“. წარმოიდგინე, რომ პერსონაჟების დიალოგი მოისმინა დათვმა. სახატავი საშუალებების ან ციფრული რესურსის („ვსწავლობთ თამაშით“) გამოყენებით დახატე კომიქსი.

ნამუშევარში

- დიალოგურ ღრუბელში ჩაწერე ფუტკრისა და ჭიანჭველას ნათქვამი;
- დათვს დაურთე ნაფიქრის გამომხატველი ღრუბელი, რომელშიც ასახავ მის ფიქრებს ფუტკარსა და ჭიანჭველასთან დაკავშირებით.

ნამუშევრის წარდგენისას წარმოაჩინე:

- რა მახასიათებლები აქვს კომიქსს, რით ჰგავს და რით განსხვავდება მოთხრობისგან;
- რატომ გგონია, რომ დათვი ასე იფიქრებდა;
- რა გაგახსენა ამ ამბავმა (მულტფილმიდან, წიგნიდან, პირადი გამოცდილებიდან);
- რისი თქმა უნდოდა ავტორს.

№3. სურათის დამოუკიდებლად აღწერა

მოემზადე სურათის აღსაწერად: შეადგინე გეგმა და მის საფუძველზე აღწერე სურათი.

აღწერისას წარმოაჩინე:

- წელიწადის დრო (წელიწადის რომელი დროა, რა მიანიშნებს ამაზე);
- აღწერის მიმართულება (მაგ., „ახლოდან შორს“/წინ – უკან);
- რა ან ვინ არის გამოსახული სურათის ცალკეულ ნაწილებში, სად იმყოფებიან, რას აკეთებენ ისინი;
- ადგილმდებარეობის აღმნიშვნელი სიტყვები (მაგ: მარჯვნივ, მარცხნივ, შუაში, ზემოთ, ქვემოთ).

დეკემბერი

წუხს ბებერი დეკემბერი:
– ველი, ველი ახალ წელსო.
რომ გვეწვევა, ნაძვის ხესთან
ერთად შევკრავთ ლამაზ წრესო.

ლექსის თქმას და ცეკვა-თამაშს
ველარავინ დამასწრებსო.
საჩუქრებიც მე შემხვდება,
რას დავუთმობ, აბა, სხვებსო!

– ვიშ, რას ამბობ! – იცინიან
ციმციმელა ფიფქებიო, –
იანვარი რომ დადგება,
შენ აქ სადღა იქნებიო?!

გივი ჭიჭინაძე

1. რატომ არის დეკემბერი ბებერი?
2. რა საერთო აქვთ დეკემბერსა და იანვარს?
3. რას ნიშნავს: „იანვარი რომ დადგება, შენ აქ სადღა იქნებიო?!“

1 **როგორია ეს ლექსი? შეარჩიე სწორი პასუხი:**

დამაფიქრებელი	სევდიანი
მხიარული	ჭკუის სასწავლი

2 **ჩამოთვალეთ ზამთრის, გაზაფხულის, ზაფხულისა და შემოდგომის თვეები.**

დეკემბერი მიიწურა. ერთი დღეც და ახალი წელი კარს შემოაღებს.

მაღალი, ხუთსართულიანი სახლის ეზოში დიდი გამოცოცხლებაა. ტასო, ელიკო, შალვა და ელიზბარი ნაძვის ხესთან ტრიალებენ. გიო მიწას ძლივს აჩნევია, მაგრამ ყველაზე მეტს ის ხმაურობს.

ტასომ მორთულ ნაძვის ხეს ვერცხლისფერი ფიფქები შეაყარა და კიდევ უფრო გაალამაზა.

– ესეც ასე, ნაძვის ხე მზადაა, – თქვა ელიკომ.

– ჩვენი სტუმარი არ მოდის? ხომ არ იგვიანებს?! – ვერ ისვენებს შალვა.

– რომელი საათია? – იკითხა ელიზბარმა.

– ხუთი. მე არასდროს ვიგვიანებ, – მოისმა ხმა.

სიტყვის კაცი ისე ჩუმად მოსულიყო, რომ ვერავინ შენიშნა.

ბავშვები ჟრიამულით შემოეხვივნენ სტუმარს. უცხო ფრინველი სკივრიდან ნაძვის ხეზე შეფრთხიალდა.

– ეს ნაძვის ხე თქვენთვის მოვრთეთ, – უთხრა სიტყვის კაცს ელიზბარმა.

– დიდი მადლობა! – თქვა სტუმარმა და ნაძვის ხესთან მივიდა. სათამაშოების ნაცვლად ტოტებზე ბაფთიანი ბარათები ეკიდა. ფერად-ფერად ბარათებზე რაღაც ეწერა.

სიტყვის კაცმა ხმამაღლა წაიკითხა:

ბ ე დ ნ ი ე რ ე ბ ა

ს ი ხ ა რ უ ლ ი

ს ი კ ე თ ე

მ ე კ ვ ლ ე

გ ო ზ ი ნ ა ყ ი

ჩ ი ჩ ი ლ ა კ ი

ჩ უ რ ჩ ხ ე ლ ა

სიტყვის კაცს სიხარულისგან თვალები გაუბრწყინდა.

– თუ შეიძლება, თქვენს ლექსიკონში ერთ სიტყვას მეც ჩავწერ, – თქვა სიტყვის კაცმა.

– რასაკვირველია!.. დიდი სიამოვნებით! – ახმაურდნენ ბავშვები.

სიტყვის კაცმა ბარათზე რაღაც დაწერა და ნაძვის ხის ტოტზე დაკიდა.

ბავშვებმა წაიკითხეს:

– მრავალჟამიერი – ქართული ხალხური სიმღერა, რომელიც ახალი წლის დადგომისას მთელ საქართველოში გაისმის.

პაატა მამფორია



1. რა ხდებოდა ხუთსართულიანი სახლის ეზოში?
2. ვის ელოდებოდნენ ბავშვები?
5. როგორი იყო სიტყვის კაცისთვის მორთული ნაძვის ხე?
4 რა ეწერა ფერად-ფერად ბარათებზე?
5. თქვენ რომელ სიტყვებს დაამატებდით კიდევ?
6. რა დაამატა სიტყვის კაცმა საახალწლო ლექსიკონს?

სიტყვის სკივრი

მიიწურა – დასრულდა.
მიწას ძლივს აჩნევია – ძალიან პატარაა, ძლივს ჩანს.
შეფრთხიალდა – ფრთხიალით შეფრინდა.

სახალისო

დიდ ფურცელზე დახატეთ ნაძვის ხე. ფერად-ფერად ქაღალდებზე ჩამოწერეთ საახალწლო სურვილები და დაამაგრეთ ნაძვის ხეზე.

დაიმახსოვრე!

მოქმედების გამომხატველი სიტყვები

როგორც მწერალი აღნიშნავს, ხუთსართულიანი სახლის ეზოში გამოცოცხლებაა. რას აკეთებენ ბავშვები? საახალწლო ნაძვის ხეს რთავენ. გიო ხმაურობს. ტასომ ნაძვის ხეს ფიფქები შეაყარა. ხაზგასმული სიტყვები რაღაცის კეთებას, მოქმედებას გამოხატავს.

მოქმედების გამომხატველ სიტყვებს დაესმის კითხვები: რას აკეთებს? ან რას აკეთებენ? რას აკეთებდა? რა ქნა? რას იზამს?

იმუშავეთ ჯგუფებად

მოიფიქრეთ სიტყვები, რომლებსაც საახალწლო ლექსიკონში შეიტანდით. განმარტეთ ისინი.

წაუკითხეთ ერთმანეთს თქვენ-თქვენი სიტყვები.

დააკვირდი სიტყვებს

უკარნახეთ ერთმანეთს მოცემული სიტყვები
და ჩამოწერეთ დაფაზე:

ხუთსართულიანი	არასდროს	აჩნევია
გაუბრწყინდა	ახმაურდნენ	შემოეხვივნენ

გამოცანა

საახალწლოდ მოვბრძანდები,
არ გეგონოთ აქაური.
დამამშვენეს პატარებმა
უამრავი სამკაულით.

გივი ჭიჭინაძე

დააკვირდი სურათს, რა ხატია მასზე, რა დანიშნულება აქვს ამ ბარათს?

სახალისო

იმუშავეთ წყვილებად. დაუხატე შენს მეგობარს მისალოცი ბარათი.

დავალება:

დაწერე, როგორ ულოცავთ ოჯახის წევრები ერთმანეთს ახალ წელს.

მრავალ ახალ წელს

ვაზებიან გზას,
მტევნებიან ველს,
მრავალ ახალ წელს,
მრავალ ახალ წელს!

მშვიდობა და მზე
თქვენს მარჯვენა ხელს –
უნათებდეს რთველს
მრავალ ახალ წელს!

მაშ, მშვენიერ ცას
და ქვეყანას ვრცელს
ვუსურვებდეთ კვლავ
მრავალ ახალ წელს!

გალაკტიონ ტაბიძე

რომელი ფრაზა მეორდება ლექსში და რატომ?

ვთამაშობთ და ვსწავლობთ

შეადგინეთ ჯგუფები, მოემზადეთ საახალწლო კონცერტისათვის. შეთანხმდით, ვინ რომელ საახალწლო ლექსს, მოთხრობასა თუ სიმღერას წარმოადგენს. აირჩიეთ წამყვანი. გადაწყვიტეთ, ვინ ვის შემდეგ გამოვა. ჩამოწერეთ თქვენი პატარა კონცერტის პროგრამა და თქვენი კონცერტი წარუდგინეთ კლასს.

განმარტე, რა არის მტევანი, ვაზი, რთველი.

6 კომპლექსური დავალებები

№1. საახალწლო ლექსიკონის შექმნა

პაატა მამფორიას მოთხრობაში ნაძვის ხის ბარათების სიტყვებს დაამატე ახალ წელთან, საახალწლო სურვილებთან, ნუგბართან დაკავშირებული სხვა სიტყვები. შენ მიერ მოფიქრებული სიტყვები დაწერე ფერად, ნახატებით გაფორმებულ ფურცლებზე, მიუწერე განმარტებები და შექმენი საახალწლო ლექსიკონი. ლამაზ ბარათებზე დაწერილი სიტყვებით მორთე კლასის ნაძვის ხე.

ნაშრომის წარდგენისას წარმოაჩინეთ:

- შენ მიერ შერჩეული სიტყვების განმარტებები;
- რატომ აირჩიე ეს სიტყვები;
- ტექსტიდან „საახალწლო ლექსიკონის“ რომელი სიტყვები მოგეწონა ყველაზე მეტად? რატომ, რას გახსენებს?

№2. საახალწლო ამბის შეთხზვა

მოიფიქრე და დაწერე საახალწლო ამბავი. გამოიყენე „საახალწლო ლექსიკონის“ სიტყვები (ბედნიერება, სიხარული, სიკეთე, მეკვლე, გოზინაყი, ჩიჩილაკი, ჩურჩხელა) და თანამიმდევრობის გამომხატველი სიტყვები.

ამბავს შეურჩიე სათაური.

ნაშრომის წარდგენისას წარმოაჩინეთ:

- რით დაიწყო, გაგრძელდა და დასრულდა ამბავი;
- რით, როგორ უკავშირდება შენი ამბავი საახალწლოდ შესწავლილ ტექსტებს, შენს პირად გამოცდილებას;
- რომელი სიტყვები, წინადადებები მოგწონს ყველაზე მეტად და რატომ;
- რატომ დაასათაურე ამბავი ამგვარად.

7 სახალისო ამბები

ტელეფონით მოყოლილი ზღაპრები

ცხოვრობდა ქალაქ ვარეზეში ვინმე სინიორ ბიანკი. ეს სინიორ ბიანკი ერთ-ერთ სავაჭრო ფირმაში მსახურობდა და კვირაში ექვსი დღე სულ გზას ადგა. წასვლის წინ თავისი პატარა გოგო მუდამ ყელგადაგდებით ეხვეწებოდა:

– საღამოობით თითო ზღაპარი მიამბე ხოლმე, მამა, გენაცვალე.

უნდა გითხრათ, რომ პატარა გოგო უზღაპროდ ვერაფრით ვერ იძინებდა, დედას უკვე სულ მოყოლილი ჰქონდა, რაც კი ზღაპრები იცოდა, თანაც ზოგი სამ-სამჯერ. და, აი, სინიორ ბიანკი, სადაც უნდა ყოფილიყო, ყოველ საღამოს შინ ტელეფონით რეკავდა და თავის პატარა გოგოს ზღაპარს უყვებოდა.

ამ წიგნში სწორედ სინიორ ბიანკის ზღაპრებია თავმოყრილი. გული მეუბნება, წაიკითხავენ პატარები ქართულად ამ ზღაპრებს და მოწონებითაც მოეწონებათ, გართობითაც გაერთობიან. სანაძლეოს დავდებ, ქართველი ბავშვებიც ისეთივენი არიან, როგორიც რომაელი, მილანელი და ნეაპოლელი ბავშვები: მხიარულები, ანცები, საყვარლები. ბავშვი ბავშვია, გინდა ევროპელი იყოს და გინდა ამერიკელი, გინდა აზიელი და გინდა აფრიკელი, გარჩევა როგორ შეიძლება! მე მთელი დედამიწის ბავშვები გულში მისხედან და თვალში რომ ჩამიცვივდნენ, ხელს არ ამოვისვამ. კარგი ზღაპარი ქვეყანას მირჩევნია. ზღაპრებს რომ არ ვიგონებდე, მაშინ ან სათამაშოებს გაგითლიდით, ანდა ვიოლინოს დაგიკრავდით.

საყვარელო პატარა ქართველებო, გისურვებთ ამ წიგნის გულიანად წაკითხვას და ჯანმრთელობას. გაიზარდეთ კარგები, თქვენს ქვეყანასაც გამოადექით და მთელ ქვეყნიერებასაც. შრომაში მუდამ სიხარული გენახოთ და მეგობრები არ გამოგლეოდეთ! რა საბრალო და საცოდავია, ვისაც მეგობარი ვერ უპოვია! თუ გული გულობს, მეგობარს რა გამოლევს! განა ჩვენ მეგობრები არა ვართ? აბა, მაშ რა! აი, ამიტომაც ვაწერ ხელს.

თქვენი მეგობარი ჯანი როდარი

სიტყვის სკივრი

ვარეზე, რომი, მილანი და ნეაპოლი – იტალიის ქალაქები.

როგორ ფიქრობ, ვინ არის სინიორ ბიანკი – პერსონაჟი თუ ზღაპრების ავტორი?

კომპიუტერში მოისმინეთ ზღაპარი და უპასუხეთ მასწავლებლის მიერ დასმულ კითხვებს.

1. ვინ იყო სინიორ ბიანკი?
2. რატომ ჰქვია ჯანი როდარის წიგნს „ტელეფონით მოყოლილი ზღაპრები“?
3. ვის შესახებ ამბობს მწერალი: „თვალში რომ ჩამიცვივდნენ, ხელს არ ამოვისვამ“?
4. რით ჰგვანან მსოფლიოს ბავშვები ერთმანეთს?
5. ყველაზე მეტად რა უყვარს მწერალს?
6. რას ამბობს ჯანი როდარი, ზღაპრები რომ არ ეწერა, რას გააკეთებდა იგი?
7. რას უსურვებს მწერალი ქართველ ბავშვებს?
8. მწერლის აზრით, ვინ არის საბრალო და საცოდავი?

იმუშავეთ ჯგუფებად

დაიყავით ჯგუფებად. ჩამოწერეთ, როგორი უნდა იყოს მეგობარი.

დაახასიათეთ სინიორ ბიანკი. გამოიყენეთ პერსონაჟის რუკა.



მნიშვნელოვანი სიტყვები!

გაიხსენე, რა უსურვა სინიორ ბიანკიმ ქართველ ბავშვებს.

რა ყოფილა მნიშვნელოვანი? დაასახელე ყველა სწორი პასუხი:

ჯანმრთელობა, წიგნიერება, შრომა,

მოგზაურობა, მეგობრის პოვნა.

მოგზაური მაიმუნები

ის იყო, პატარა და ცნობისმოყვარე მაიმუნებმა ფეხი აიდგეს, რომ სამოგზაუროდ წასვლა გადაწყვიტეს. გადადგეს თუ არა რამდენიმე ნაბიჯი, დაინახეს ლომის გალია, ამის შემდეგ თეთრი დათვის აუზის დასათვალიერებლად გადაინაცვლეს, ცოტა იქით სპილოს ვოლიერი იყო და ისიც კარგად შეისწავლეს.

– რამხელა ყოფილა ეს ქვეყანა! რა კარგია მოგზაურობა! – აღტაცებას ვერ მალავდნენ პატარა მაიმუნები.

დათვალიერება განაგრძეს. შუადღე იყო, როცა მოშივდათ და დედებთან დაბრუნება გადაწყვიტეს; ჯერ თეთრი დათვის აუზი დაინახეს, იქვე – სპილოს ვოლიერი, სულ ბოლოს – ლომის გალია.

– ეს მშვენიერი ადგილები თითქოს ადრეც მინახავს, – თქვა ყველაზე ცნობისმოყვარე პატარა მაიმუნმა.

სადილის შემდეგ ისევ შეუდგნენ ქვეყნის დათვალიერებას: აი, ლომის გალია; მოშორებით თეთრი დათვის აუზია, ცოტა იქით სპილოს ვოლიერია. მზემ ჩასვლა დაიწყო. მაიმუნებმა გადაწყვიტეს თავიანთ ბინას დაბრუნებოდნენ. კვლავ დაინახეს სპილოს ვოლიერი, თეთრი დათვის აუზი და ლომის გალია.

– რა ერთფეროვანი და მოსაწყენი ყოფილა ქვეყანა! – თქვეს დაღლილმა მაიმუნებმა და დასაძინებლად მოემზადნენ.

ჯანი როდარი



თუ იცით, რომელი მულტ-ფილმიდანაა ეს სურათი?

სიტყვის სკივრი

ვოლიერი – დიდი გალია.

ნახეთ მულტფილმი „ფრთხილად, მაიმუნები!“

სასაუბრო

რით ჰგავს ეს მოთხრობა და მულტფილმი ერთმანეთს, რით განსხვავდება. შეეფერება თუ არა ეს ილუსტრაცია ამ მოთხრობას.

რატომ ხედავდნენ პატარა მაიმუნები სულ ერთსა და იმავე სურათს?

იმუშავეთ ჯგუფებად

იმუშავეთ ჯგუფებად. შეადგინეთ მაიმუნების ვოლიერთან დასაკიდებელი გამაფრთხილებელი აბრა.

დაიმახსოვრე!

- **რომელია** მგზავრი და **რომელია** მოგზაური?
- **დააკვირდი მაგალითს:** ვინც სკოლაში ავტობუსით დადის – მგზავრი. ვინც სხვადასხვა კუთხის ან ქვეყნის სანახავად მიდის – მოგზაური.

მოძებნე მოთხრობის ბოლოს ჩამოთვლილთა მსგავსი სიტყვები:

დაქანცული, მოსაბეზრებელი, ერთნაირი, შორიახლოს.

დაასახელე, რა ეწოდება მზის ამოსვლას, რა ეწოდება მზის ჩასვლას:

აისი, ალიონი, დაისი, საღამო, მწუხრი, განთიადი

დავალება:

ჩასვი გამოტოვებული სიტყვები და ჩაწერე რვეულში:

ვინც თავის სოფელში მატარებლით მიდის – ...
ვინც საქმეზე მიფრინავს სხვა ქალაქში – ...
ვინც საქართველოს კუთხეების დასათვალიერებლად მიემგზავრება – ...

ჭრელი წინდები

ერთხელ მწერალი რევაზ ინანიშვილი იტალიაში გაემგზავრა. მის შვილებს, მაშინ ჯერ კიდევ პატარა ბიჭებს – კოტეს და დათოს – ძალიან უყვარდათ იტალიელი მწერლის, ჯანი როდარის, წიგნები: „ჩიპოლინოს თავგადასავალი“ და „ჯელსომინო ცრუთა ქვეყანაში“, ამიტომ მამას ჯანი როდარის გოგონასათვის ბოდბისხევის ბაზარში ნაყიდი ჭრელი კახური წინდები გაატანეს.

ეს წინდები ერთ რამედ ღირდა, იტყოდი, ნეტავ თვალი მომცა და მაყურებინაო! წითლები იყო, მაღალყელიანები, ზედ სხვადასხვა ფერის ფიფქები ეყარა, მუხლებთან ფუნჯებიანი შესაკრავები ეკიდა.

რომში რევაზ ინანიშვილს წარუდგინეს ერთი ტანმორჩილი, უბრალოდ ჩაცმული კაცი და უთხრეს:

– ეს მწერალი ჯანი როდარიაო.

რევაზ ინანიშვილმა იმ კაცს ხელი ჩამოართვა, ამოიღო ჩანთიდან წინდები და უთხრა:

– მე ქართველი ვარ, საქართველოში ძალიან უყვართ „ჩიპოლინო“ და „ჯელსომინო“, ამიტომ ჩემმა ბიჭებმა ეს წინდები თქვენს გოგონას გამოუგზავნესო.

წინდები რომ გაშალა, ჯანი როდარის სიხარულისაგან თვალები გაუბრწყინდა.

– ვიცი, ეს თქვენი მთებიდანაა, კავკასიონის მთებიდან. მე ვყოფილვარ თქვენს ქვეყანაში, ძალიან მიყვარს ქართველი ხალხი, – თქვა და საჩუქრისათვის დიდი მადლობა გადაუხადა.

მეორე დილით ჯანი როდარის ქალიშვილი – პატარა ლამაზი გოგონა – ჩვენებური წინდებით წავიდა სკოლაში.

რევაზ ინანიშვილის მიხედვით

თქვენი სახელმძღვანელოს სარჩევში მოიძიეთ ჯანი როდარის მოთხრობები. ჩამოწერეთ დაფაზე სათაურები, მიუწერეთ შესაბამისი გვერდები.

1. სად გაემგზავრა რევაზ ინანიშვილი?
2. ჯანი როდარის რომელი მოთხრობები უყვარდათ ბიჭებს?
3. რა გაატანეს ბიჭებმა მამას ჯანი როდარის გოგონასათვის საჩუქრად?
4. როგორი იყო ეს წინდები?
5. როგორ შეხვდა ჯანი როდარი საჩუქარს?
6. როგორ მიხვდით, რომ იტალიელ გოგონას საჩუქარი მოეწონა?

მოძებნეთ ინტერნეტში ჯანი როდარისა და რევაზ ინანიშვილის ფოტოები.

1

ვინ ვინ არის?

საქართველოს მკვიდრი – ქართველი.

იტალიის მკვიდრი?	საფრანგეთის მკვიდრი?
ინგლისის მკვიდრი?	რუსეთის მკვიდრი?
საბერძნეთის მკვიდრი?	გერმანიის მკვიდრი?

2 **დააკვირდი მაგალითს (ჩვენი – ჩვენებური) და აწარმოე მსგავსი სიტყვები:**

შენი – ... ახალი – ... თქვენი – ... ძველი – ...

3 **რას ნიშნავს სიტყვა ტანმორჩილი?**
(დაასახელე სწორი პასუხი)

მოქნილი დაბალი მოხდენილი

რომელია ზედმეტი?

საქართველო იტალია თბილისი საფრანგეთი

დავალება:

მოძებნეთ მოთხრობაში, როგორი იყო ჩვენებური წინდები და გადაიწერეთ რვეულში.

ერთხელ დაიკარგა შუშუ!

კიდევ კარგი, პოლიციელმა იპოვა, განყოფილებაში მიიტანა და კარადაში შეინახა, მერე კი განცხადებების დაფაზე ქაღალდი გამოაკრა, ნაპოვნია ესა და ესო. ვინც კი დაფასთან გაივლიდა, ყველა ჩერდებოდა და კითხულობდა.

– რაო, რა წერია? – ჰკითხა პატარა გოგონამ დედას.

– შუშუ დაკარგულა! – მიუგო დედამ.

– როგორ დაკარგულა?! – გაუკვირდა გოგონას.

– შუშუ, შენი საქმე არ არის.

გამოიარა მზარეულმა ქალმა, წაიკითხა განცხადება და მაშინვე თავის სამზარეულოში გაიქცა, ერთი ვნახო, ეს შუშუ ჩემმა ჩაიდნებმა ხომ არ დაკარგესო, მაგრამ ღუმელზე შემოდგმული ჩაიდნები არხეინად შიშინებდნენ.

ნახა განცხადება მემანქანემაც, გაიქცა სადგურში, შუშუ ჩემს ორთქლმავალს ხომ არ დაეკარგაო. საბედნიეროდ, ორთქლმავალს ყველა შუშუ ადგილზე ჰქონდა. ორთქლმავლებს ხომ ბევრი შუშუ აქვთ, ამიტომაც გაიძახიან:

– შუშუ-შუშუ! შუშუ-შუშუ!!!

მოვიდნენ განცხადების დაფასთან ბიჭიც და ძაღლიც. ძაღლმა დაიყეფა. ბიჭმა ხელი მაღლა ასწია, უნდოდა ეთქვა, – შუშუ, გაჩუმდიო, მაგრამ შუშუ ვერ წარმოთქვა. ძაღლი გაოცებისაგან გაჩუმდა. ბიჭმა განცხადება წაიკითხა, კიბე აიარა და პოლიციის განყოფილებაში შევიდა.

– მე დამეკარგა ... – თქვა მან.

– რა დაგეკარგა? – ჰკითხა პოლიციელმა.

ამ დროს ძაღლმა დაიყეფა.

– შუშუ! – მუქარით დაუქნია თითი პოლიციელმა.

– აი, ეგ, თქვენ რომ ახლა თქვით, – მიუგო ბიჭმა.

– აა, შუშუ! – პოლიციელმა კარადა გააღო და შუშუ გამოუშვა.



შშშ ძალიან გახარებული იყო, რომ იპოვეს.

– აი, აქ მოაწერეთ ხელი! – უთხრა პოლიციელმა ბიჭს.

ძაღლმა კვლავ დაიყეფა.

– შშშ! – წყრომით მიუბრუნდა ბიჭი, – შშშინ ხომ არ გგონია თავი!

დარცხვენილი ძაღლი გაჩუმდა და კუდი ამოიძუა.

დონალდ ბისეტი

1. რა დაიკარგა ერთხელ?
2. რამ შეაშინა მზარეული?
3. რა იფიქრა მემანქანემ?
4. რა ვერ უთხრა ბიჭმა ძაღლს?
5. ვის დაჰკარგვია შშშ?

განცხადება ასე იწერება:

განცხადება

ნაპოვნია შ! ვინც შ დაკარგა, გთხოვთ პოლიციაში მოაკითხოთ!

აი, როგორ განცხადებას შეადგენდა ბიჭი:

განცხადება

დავკარგე შ. მპოვნელს ვთხოვ, დამიკავშირდეს!
ტელეფონი 20 09 11
წინასწარ გიხდით მადლობას!

დაიმახსოვრე!

განცხადება არის წერილობითი ცნობა – ინფორმაციის მიწოდება საზოგადოებისთვის – რაიმეს ან ვინმეს შესახებ.

დააკვირდი ამ სიტყვებს და გამოიცანი, რომელი ასოებია დაკარგული:

■ვიმა მოდის. სარკმელს მსხვილი ■ვეთები ეცემა.

■ასწავლებელ■ა ■ოსწავლე გა■ოიძახა.

■იჭი ■ურთს თამაშო■ს.

სახალისო

ერთ უფლისწულს ულამაზესი მზეთუნახავი დაესიზმრა. გაიღვიძა და თქვა, ეს ქალი უნდა ვიპოვოო. ვეზირმა უთხრა: ხელმწიფის ანდერძი ნახე და ყველაფერი იქ წერიაო. ბიჭი ასეც მოიქცა.

„თუ გინდა, რომ მზეთუნახავს მიაგნო, გრძელი და ■ორი გზის გავლა მოგიწევს. ივლი, ივლი და მიადგები ერთ მინდორს. იქ ნახავ ოქროსფერ ■ველს. ის მოგცემს ოქროს ბალანს, წამოიღებ და წამოხვალ. ივლი, ივლი და ციხესიმაგრესთან მიხვალ. ციხის კართან ■ალში გახვეული დედაბერი დაგხვდება. მოხსნი ■ალს, მოუსვამ ოქროს ბალანს და დედაბერი მზეთუნახავად გადაიქცევა“.
წაიკითხა უფლისწულმა ანდერძი, მაგრამ ვერაფერი გაიგო.

აპოვნინე უფლისწულს მზეთუნახავი. კიდევ ერთხელ წაიკითხე უცნაური ანდერძი, გამოიცანი, რომელი ასოა დაკარგული. კითხვისას აღადგინე დაკარგული ასოები.

დავალება:

მოსწავლეს წერის დროს ასოები გამორჩა. გაასწორე შეცდომები და გადაიწერე რვეულში:
გოგო წიგს კითხულობს, ბიჭი სახში მიდის. ნიკო კაი მოსწავლეა.

მოდი, რიცხვები მოვიგონოთ!

– მოდი, გინდა, რიცხვები მოვიგონოთ!

– მოვიგონოთ! პირველი მე ვიტყვი: მინდორშია ექვსი ცხენი, სამი დედა, სამი კვიცი. ამის მეტი აღარ ვიცი...

– ეეჰ! ეგ რა რიცხვებია. აბა, ყური დამიგდე, ნამდვილ რიცხვებს გეტყვი: ბილიარდონ ბილიარდონი, სეკსილიარდ სეკსილიონი, კვინტილიონ ბიკვინტილიარდი.

– დიდი ამბავი! მე, თუ გინდა, გამრავლების ცხრილს მოვიგონებ, აი:

სამჯერ ერთი – წერილს მწერდი;
სამჯერ ორი – მოგეპარა ღორი;
სამჯერ სამი – წაგექცა სკამი;
სამჯერ ოთხი – მოიტანე ფოცხი;
სამჯერ ხუთი – გააგორე ბურთი;
სამჯერ ექვსი – ლომზე შეგსვი;
სამჯერ შვიდი – სიმინდს ფშვნიდი;
სამჯერ რვა – ჯინსი გაგერღვა;
სამჯერ ცხრა – ყვავი დაგაცხრა;
სამჯერ ათი – შეგხვდა დათვი.

– აბა, სწრაფად მოვიგონოთ კიდევ ორიოდე რიცხვი. იცი, იტალიის პატარა ქალაქ მოდენაში როგორ ითვლიან? ასე: ერთიკა, ორიკა, სამიკა – ფისუნა ხილაბანდს წაიკრავს, მდინარეს აუვლის, ჩაუვლის – წყალში ჩაუვარდება შაური.

– მაგას რა უჭირს, შენ რომში ნახე, როგორი თვლა იციან: ერთუნია, ორუნია, სამუნია – მოთხუნულა ამუნია; ოთხუნია, ხუთუნია – მოთხუნულა ღრუტუნია; ექვსუნია, შვიდუნია – ღრუბელზე ზის ჩიტუნია; რვანცი, ცხრანცი, ათუნია – ბუმ შეჭამა დათუნია.

ჯანი როდარი

იმუშავეთ ჯგუფებად

დაიყავით ჯგუფებად. მოიფიქრეთ და ჩამოწერეთ თქვენი ჯგუფის სასაცილო თვლა.

თერთმეტიდან ცხრამეტამდე დათვალე ასე:

თერთმეტი – ერთ მეტი;		
თორმეტი – . . .	ცამეტი – . . .	თოთხმეტი – . . .
თხუთმეტი – . . .	თექვსმეტი – . . .	ჩვიდმეტი – . . .
თვრამეტი – . . .	ცხრამეტი – . . .	

ვთამაშობთ და ვსწავლობთ

ჩამოთვლილი სიტყვებიდან (მეტი, მესარე, მელექსე, მეღორე) შეარჩიე შესაფერისი სიტყვა და ზეპირად დაასრულე წინადადებები:

მაგალითად: ვინც პირველი, ის ფრინველი;

ვინ მოვიდა მეორე? ჩვენი სოფლის . . .
სარი ჩასვა მესამე. რა დავარქვათ? . . .
წელში თვეა თორმეტი, არც ნაკლები, არც . . .
ლექსს კითხულობს მეექვსეს, ჩვენი კლასის . . .

ყურადღებით წაიკითხე ლექსი და მოძებნე სიტყვები, რომლებიც ერთნაირად ბოლოვდება:

ჩემო კარგო თითებო,
მე თქვენ ყველგან მჭირდებით,
თვლა მასწავლეთ ათამდე,
ჩხირებივით ითვლებით.
სუფთა წერაც ისწავლეთ!
მელნით რატომ ითხვრებით?
დედიკოსთან თქვენ გამო
დღეში ათჯერ ვწითლდები.

გიორგი წერეთელი

ასოების გასაჭირი

რა განახო, რა განახო,
ჩემო ბებო, წამო ჩქარა!
ჩვენმა ფისომ ასოები
იატაკზე ჩამოყარა...

განს გვერდები შეელეწა,
დამტვრეული ჯანი ყვირის,
დონმა მუხლისთავი იღრძო,
ჟანს მოვარდა კოხტა ცხვირი.

პარი ორად გადაიპო –
ველარ ვარჩევ კუდს და თავსა.
ხარი ისე შეტრიალდა,
რომ ასო ძილს დაემსგავსა.

თანს ლოყები გაუსივდა,
ტარმა მუცლის გვრემა იგრძნო, –
ანი როცა გონს მოვიდა,
მეგობრები ველარ იცნო!

იოსებ გრიშაშვილი

ასოთა სახელები

ან	ბან	გან	დონ	ენ	ვინ	ზენ	თან
ინ	კან	ლას	მან	ნარ	ონ	პარ	ჟან
რაე	სან	ტარ	უნ	ფარ	ქან	ღან	ყარ
შინ	ჩინ	ცან	ძილ	წილ	ჭარ	ხან	ჯან

ჰაე

1. რომელ ასოს რა დაემართა?
2. რატომ ჰქვია ამ ლექსს „ასოების გასაჭირი“?

1 **ერთ ნაწერში ზოგიერთ ვ-ს ცხვირი წასტყდა და გადაიქცა კ-დ. ზოგიერთ ლ-ს კი გვერდი ჩამოსტყდა და გადაიქცა ღ-დ. გამოიცანი და ისე წაიკითხე წინადადებები:**

სად უნდა იყოს ვ? სად უნდა იყოს კ?

მწყემსმა ერთი ■აცი დაკარგა.
გზაზე ორი ■აცი საუბრობდა.
ბაბუამ ■ირს ხურჯინი გადაჰკიდა.
■ირს ჭერის შესათეთრებლად იყენებენ.

სად უნდა იყოს ლ? სად უნდა იყოს ღ?

სა■ი კლდის პირას ჯიხვი იდგა.
დიდედამ სა■ი ვაშლები გადაარჩია.
■ომს ბოკვერი შეეძინა.
ნიკა ■ომს მიირთმევს.

2 **რამდენი ასოა თითოეულ მოცემულ სიტყვაში, მათგან რამდენია ხმოვანი, რამდენი – თანხმოვანი.**

ცხვარი	ფისო	იატაკი
გვერდი	კუდი	მეგობარი

გაიხსენე ასოთა სახელები.

დავალება:

ამოწერე ლექსში ნახსენები ასოთა სახელები.

ამბის რუკის გათვალისწინებით დაწერე მოთხრობა „ციფრების გასაჭირი“.

ამბის რუკა

მოთხრობა „ციფრების გასაჭირი“		
მოთხრობაში გადმოცემული ამბავი	რა განვსაზღვრო?	რა მოვიფიქრო?
სად ხდება მოქმედება?	მოქმედების ადგილი.	კლასში დაფაზე? ციფრების სამეფოში?
როგორ დავიწყოთ ამბავი?	რამ გამოიწვია არეულობა და გასაჭირი?	ციფრების ჩხუბმა? არასწორმა ანგარიშმა?
რა დაემართათ ციფრებს?	ვის რა დაუშავდა და რა ცვლილება განიცადა?	რა დაუშავდათ? რა ნაწილები მოტყდა თითოეულს, რომელ ციფრად გადაიქცა?
რით დასრულდა ამბავი?	გამოსავალი შექმნილი სიტუაციიდან.	დაიბრუნეს თუ არა ციფრებმა პირვანდელი სახე? როგორ მოხდა ეს?

7 კომპლექსური დავალებები

№1. სახალისო ამბები

სენიორ ბიანკის დახასიათება

წაიკითხე ჯ. როდარის მოთხრობა „ტელეფონით მოყოლილი ზღაპრები“, შეავსე პერსონაჟის რუკა და მასზე დაყრდნობით დაახასიათე სენიორ ბიანკი.

ნამუშევრის წარდგენისას წარმოაჩინე:

- რა თვისებები აქვს სენიორ ბიანკის, სად, როდის და როგორ ვლინდება ეს თვისებები;
- რისი თქმა უნდოდა ავტორს ამ პერსონაჟით;
- პერსონაჟის რომელი თვისება მოგწონს ან არ მოგწონს. რატომ?
- რომელი სიტყვები, წინადადებები მოგეწონა ყველაზე მეტად.

№2. ამბის შეთხზვა

მოიგონე სახალისო ამბავი იმის შესახებ, თუ რა გასაჭირში შეიძლება აღმოჩნდნენ ციფრები. მოიფიქრე სათაური, მოამზადე ილუსტრაციები და მათზე დაყრდნობით ზეპირად გადმოეცი ამბავი.

ამბის თხრობისას წარმოაჩინე:

- რით დაიწყო, გაგრძელდა და დასრულდა ამბავი;
- სხვადასხვა დეტალი (მაგ: სად მოხდა მოქმედება, რამ გამოიწვია არეულობა, ვის რა დაუშავდა და რა სახეცვლილება განიცადეს ციფრებმა, რა გამოსავალი მოიძებნა ამ სიტუაციიდან გამოსასვლელად);
- რატომ დაასათაურე ამბავი ამგვარად.

დახუჭობანა

თბილი საღამო იყო. ეზოში გოგო-ბიჭები დახუჭობანას თამაშობდნენ. რეზო ჭიშკართან იდგა, თვალებზე ხელები ჰქონდა აფარებული და ხმამაღლა ითვლიდა.

– ელია, მელია, თვალი გამიხელია, ვინც არ არის დამალული, რაღა ჩემი ბრალია. ვიხედები! – დაიძახა ბიჭმა. რეზომ თვალი გაახილა და ძებნას შეუდგა. ყურშაც ყეფა-ყეფით აედევნა მეგობარს. მან ია მაშინვე შენიშნა. ხის უკან დამალულიყო და ჭრელი კაბა უჩანდა. სხვების მოძებნა კი ცოტა გაუჭირდა.

– ჭიავ, ჭიავ, მაპოვნინე, მე შენ დედას გაპოვნინებ! – გაიძახოდა რეზო და ეზოს კუნჭულებში იჭვრიტებოდა. მალე სხვა ბავშვებიც იპოვა.

– ყველა მე ვაპოვნინე და ჭიას რაღას ეხვეწება?! – ყურები ჩამოყარა ნაწყენმა ყურშამ.

ლალი ვაშაკიძე

1. რას თამაშობდნენ ბავშვები?
3. რატომ იპოვა რეზომ ია ყველაზე ადრე?
4. რას გაიძახოდა ბავშვების ძებნისას რეზო?
5. რა ეწყინა ყურშას?

რომელი მოთხრობის ეპიზოდი ყოფილა გადმოცემული თქვენ მიერ აღწერილ ნახატში?

სასაუბრო

თქვენ რომელი თამაში გიყვართ? აღწერეთ ეს თამაში.

დაიმახსოვრე!

მოკლე შინაარსი

წაიკითხე თანმიმდევრობით ის ხუთი წინადადება, რომლებშიც მოცემულია სიტყვები: თამაშობდნენ, ითვლიდა, გაახილა, შენიშნა, იპოვა. რით განსხვავდება ამ ხუთი წინადადებით გადმოცემული ამბავი მოთხრობისაგან? იმით, რომ ამბავი შემოკლებულია. ამ ხუთი წინადადებით ჩვენ გადმოვეცით მოთხრობის მოკლე შინაარსი.

დავალება:

დაწერე მოთხრობის მოკლე შინაარსი.

– რა კარგი ღილი ვიპოვე! – ხტუნვა-ხტუნვით მიირბინა სოფომ ბებოსთან და დიდი, თეთრი ღილი უჩვენა.

– მაგისთანა დიდი და ლამაზი ღილებისაგან ჩემს პატარაობაში თოჯინას ვაკეთებდით ხოლმე, – თქვა ბებომ.

– როგორ, ბები, როგორ აკეთებდით, მითხარი, იქნებ მეც გავაკეთო!

– როგორ და, ავიღებდით ორ ჯოხს, ერთს გრძელს, მეორეს – ცოტა მოკლეს და ერთმანეთზე გადავაჯვარედინებდით. მერე ღილს ვიპოვიდით და გრძელი ჯოხის ბოლოზე დავამაგრებდით: თოჯინა იყო და თოჯინა, პირისახეც ჰქონდა და ხელებიც!

– მაგას ხომ მეც გავაკეთებ! – წამოიძახა გოგონამ.

მართლაც, იმ ღილითა და ორი ჯოხით სოფომ თოჯინა გააკეთა. მერე კი გადაწყვიტა, რომ მისთვის ლამაზი კაბაც შეეკერა.

დაიწყო ჩითის ნაჭრების ქექვა, ამოარჩია ყველაზე ლამაზი ნაჭერი, გამოჭრა, დაჯდა ტახტზე და კერვას შეუდგა. ხან ნემსი იჩხვლიტა თითში, ხან ძაფი გამოუძვრა ყუნწიდან, მაგრამ ბოლოს მაინც შეკერა კოხტა, წელში გამოყვანილი კაბა, ჩააცვა თოჯინას და შეათვალიერა.

მერე წაბლისფერი, ხუჭუჭა ბატკნის მატყლი ამოირჩია, თოჯინას თავზე დააწება, ნაწნავი გაუკეთა და ზედ ბაფთა შეაბა.

თოჯინა ძალიან გაალამაზა თმამ, პირდაპირ კალმით ნახატს დაემსგავსა.

– ბები, ბები, შეხედე, რა კარგია!

– ყოჩაღ, ეგ რა ლამაზი გამოგსვლია! – შეაქო გოგონა ბებომ, - ნახე, შენი გაკეთებული მაინც სულ სხვაა, ქვეყნის მაღაზიებიც რომ შემოიარო, მაგისთანა თოჯინას ვერსად იშოვი!

ნინო ბეზარაშვილი

1. რა უჩვენა სოფომ ბებოს?
2. რა გაიხსენა ბებომ?
3. როგორ შემოსა სოფომ ხის თოჯინა?
4. როგორ გაუკეთა სოფომ თოჯინას თმები?
5. რით სჯობდა ეს თოჯინა სხვა თოჯინებს?

1 **მოიფიქრე მსგავსი სიტყვები:**

დედოფალა - . . . გაამშვენიერა - . . . კოხტა - . . .

2 **მოიფიქრე საპირისპირო სიტყვები:**

დიდობაში – . . . სიბერეში – . . . უშნო – . . .

ვთამაშობთ და ვსწავლობთ

მოძიებული ნივთებით გააკეთეთ სახლში სათამაშოები: თოჯინა, ბზრიალა, ურიკა, რაიმე ცხოველი და ა. შ. მოაწყვეთ კლასში სათამაშოების გამოფენა.

სასაუბრო

უამბეთ თანაკლასელებს, როგორ გააკეთეთ სათამაშო, რა გამოიყენეთ, ვინ დაგეხმარათ.

რომელია ზედმეტი?

წიგნი თოჯინა რვეული ჩანთა

დავალება:

დაწერე, როგორ აკეთებდა ბებია თოჯინას.

ხაბაზი

საცერს ხელი წამოვკარი
მარცხნივ, მარჯვნივ, მარცხნივ.
ფქვილის ზვინი დავაყენე,
სულ ავავსე ვარცლი.
თითქოს დევის ღიპი იყოს,
ცომი ამოფუვდა.
საფანელში გავაგორე
სამოცამდე გუნდა.
ცხელ თონეში ჩავაკარი
სამოცამდე პური,
ლავაშები, ნაზუქები,
შოთი ჩვენებური.
გზაზე ამვლელ-ჩამვლელები
ჰყვებიან ჩემს ამბავს:
– პაპასავით ხაბაზია,
გაეზარდოს პაპას!

ცირა ქიტიაშვილი

სიტყვის სკივრი

ხაბაზი – პურის მცხობელი.
ვარცლი – ხის ჭურჭელი პურის მოსაზელად.
საფანელი – მოსაყრელი ფქვილი, რათა ცომი ხელს ან ვარცლს არ მიეკრას.

ლექსის მიხედვით შენი სიტყვებით გვიამბე, როგორ აცხობენ პურს.

დაიმახსოვრე!

პაპას <u>დაახლოებით ოცდაათი</u> ცხვარი ჰყავდა – პაპას <u>ოცდაათამდე</u> ცხვარი ჰყავდა

წელს თამრიკომ <u>დაახლოებით ათი</u> წიგნი წაიკითხა – წელს თამრიკომ <u>ათამდე</u> წიგნი წაიკითხა

ნინომ ნაძვის ხეზე <u>დაახლოებით ოცი</u> სათამაშო დაკიდა – ნინომ ნაძვის ხეზე <u>ოცამდე</u> სათამაშო დაკიდა.

ეს სიტყვა და გამონათქვამი ერთნაირი მნიშვნელობისაა, ერთმანეთს ენაცვლება, მაგრამ არ შეიძლება მათი ერთად გამოყენება.

1 **აღმოაჩინე შეცდომა და გადახაზე.**

კატოს დაახლოებით ათი ფანქარი აქვს. ნინომ ათამდე ნახატი გამოფინა ოთახში. გოგიმ დაახლოებით თხუთმეტამდე ბურთი ჩააგდო კალათში.

2 **მოცემული ჩამონათვალიდან რომელია ხელობის აღმნიშვნელი სიტყვები?**

ხაბაზი, თონე, პური, მკერავი, ქალი, საუზმე, მზარეული, კაფე, მესაათე, მაღაზია, დალაქი, ვიტრინა, კალატოზი, სახლი, აგური, მექუდე, ქუდი, დურგალი.

3 **დააკვირდი მაგალითს:** ხაბაზია, როგორც პაპა – პაპასავით ხაბაზია.

დაასახელე შესაბამისი წინადადებები:

აფუებულია, როგორც დევის ღიპი – . . .
თბილია, როგორც ახალგამომცხვარი პური – . . .

სასაუბრო

რომ გაიზრდებით, თქვენ რომელ ხელობას აირჩევთ?

თუ იცით, რას საქმიანობენ: ექიმი, მძღოლი, მემანქანე, კალატოზი, მასწავლებელი, მევენახე, ჯარისკაცი, არქიტექტორი, მეზღვაური.

თომა ბავშვთა ქალაქს აშენებს

თომა და თომას მეგობრები, სრულიად ჩვეულებრივი ბიჭუნები, ღუმელთან მაგიდას უსხედან. მაგიდაზე ყურძნის კომპოტი, ქლიავის ჩირი და დიიიდი ფურცელი დევს. ამ ფურცელზე ისინი ფერადი ფანქრებით ხატავენ ბავშვთა ქალაქს – ადგილს, სადაც მხოლოდ პატარები იცხოვრებენ. ქალაქში მანქანების მაგივრად მფრინავი ხალიჩები იფრენენ ქარის ბენზინით.

– უშნო ბავშვი ხომ ისედაც არ არსებობს, – განაცხადა თომამ, – საერთოდ, სიტყვა უშნო, ბავშვთა ქალაქის განაწესით, ლექსიკონიდან უნდა ამოვიღოთ! ეს დიდების მოგონილი სიტყვაა ერთმანეთის გასაბრაზებლად და რა საჭიროა ისეთი სიტყვები, არაფერს რომ არ აღნიშნავენ?

ბიჭუნები დაეთანხმნენ.

– ჩურჩხელები და კანფეტები, განსაკუთრებით შოკოლადები, ან უფასო იქნება, ან ორი კეთილი სიტყვა ეღირება. ბებიები უკვდავები გახდებიან, ოღონდ ერთი პირობით – მეორე უჯრის გასაღებიც უნდა დათმონ, სადაც საახალწლო ქიშმიშ-ჩამიჩებია შენახული. უფროსებიდან მხოლოდ ბებიებს ექნებათ ბავშვთა ქალაქის უვადო საშვი.

ბიჭებმა ისევ თავი დაუქნიეს.

– ახლა წავედი, ჯუჯები უნდა დავარწმუნო, რომ ამ ქალაქის მშენებლობაში დამეხმარონ.

ბაიბურამ, თომას მეგობარმა ბუმ, და თომამ წკიპზე მიუსწრეს ჯუჯების სამეფოს დარაჯს, რომელიც კარს ვეებერთელა გასაღებით კეტავდა და დასაძინებლად ემზადებოდა. ჯუჯებიც ამთქნარებდნენ, მაგრამ თომამ ძალიან მაცდური რამ უთხრა:

– თუ დამეხმარებით, ხანდახან ჩვენს ბებიებს გათხოვებთ. იცით, რომ ბებიის მოყოლილი ზღაპრები აგიხდებათ?! – გაანდო თომამ ჯუჯებს. მათ ხომ არასდროს ჰყოლიათ ბებიები და არაფერი იცოდნენ ახდენილი ზღაპრების შესახებ და დათანხმდნენ. ასე დაიწყეს ჯუჯებმა და ბიჭუნებმა ბავშვთა ქალაქის შენება.

გიორგი კეკელიძე

დააკვირდი ნახატს, აღწერე იგი.
მოძებნე ტექსტში შესაბამისი ეპიზოდი და წაიკითხე.

1. რას ხატავდნენ თომა და მისი მეგობრები?
2. როგორი იქნებოდა ბავშვთა ქალაქი?
3. რომელი სიტყვა ამოიღეს ბავშვებმა ლექსიკონიდან?
4. რა ეღირებოდა ტკბილეული?
5. უფროსებიდან ვის ექნებოდა ბავშვთა ქალაქის უვადო საშვი?
6. ვის მიმართეს ბავშვებმა ქალაქის შენებაში დასახმარებლად?

სიტყვის სკივრი

განაწესი – წესი, კანონი.
ლექსიკონიდან ამოვიღოთ – გავაუქმოთ, ამოვიღოთ ხმარებიდან.
ჩამიჩი – ზამთრისთვის შესანახი შემჭკნარი ყურძენი.
დასტური – თანხმობა.

დააკვირდი სიტყვებს

უკარნახეთ ერთმანეთს მოცემული სიტყვები და ჩამოწერეთ დაფაზე:

ჰქონდათ ჰყოლიათ ვეებერთელა

ვთამაშობთ და ვსწავლობთ

შეადგინეთ ჯგუფები, დახატეთ თქვენი ბავშვთა ქალაქი. შემდეგ აღწერეთ იგი, მოგვიყევით ამ ქალაქის კანონების შესახებ, მოიფიქრეთ და დაარქვით სახელი. ვის მიიწვევთ თქვენს ქალაქში? გაუგზავნეთ მოსაწვევი ბარათი.

დავალება:

დაწერე ეპიზოდის შინაარსი: ბავშვთა ქალაქის ქუჩები და ტრანსპორტი.

ფეფო

მე მქვია ფეფო.

ნეტავ, ფეფო რომ არ მერქვას, მაშინაც ფეფო ვიქნებოდი?

– ფეფო! – დაიძახებს ვიღაცა და აქეთ-იქით ვიხედები. ფეფო ხომ მე ვარ!

გავიხედავ – ფეფო ვარ, გამოვიხედავ – ფეფო ვარ.

გავრბივარ – ფეფო ვარ და ფეფო.

მეძინება – მგონი ფეფო ვარ.

მეღვიძება – ისევ ფეფო ვარ.

ვაიმე! ფეფო რომ არ მერქვას, ამდენი ამბავი მეცოდინებოდა? ვინ მოგიყვებოდათ:

კატო ბებოს კნუტების ამბავს?

ჩვენი მერცხლების ამბავს?

თოვლის ამბავს?

ძაღლ ბოქას ამბავს?

მე ვარ ფეფო.

– ფეფოო!

ლეილა ბეროშვილი

სახალისო

ფეფოს ბევრი საინტერესო კითხვა უჩნდება:

– ნეტავი მთვარეს ფეხები თუ აქვს?

– პატარა ქვაბები დიდი ქვაბების შვილები არიან?

– ნეტავ, როდესაც გავიზრდები, მაშინაც ფეფო ვიქნები?

თქვენც ჩამოწერეთ სახალისო კითხვები. წაიკითხეთ კლასში. შეარჩიეთ ყველაზე სახალისო კითხვები.

სასაუბრო

თქვენ რა საინტერესო ამბავი შეგიძლიათ გვიამბოთ? დაასახელეთ, ვინ რაზე ისაუბრებს. მოუსმინეთ ერთმანეთს. შეარჩიეთ, რომელი ამბავი იყო ყველაზე სახალისო და საინტერესო.

ფეფოს სოფელი

1.

ჩემი სახლი სოფლის ბოლოში დგას.

სოფლის თავში რომ ვცხოვრობდე, ნეტავ, როგორ ვიქნებოდი? სოფლის თავშიც ასეთი ეზო და კოხტა სახლი გვექნებოდა? მაშინაც გვეყოლებოდა ერთი ძროხა, სამი გოჭი, ერთი ინდაური, რვა მერცხალი, კატა კუდა და ძაღლი ბოქა?

ძროხას ქაბატო გვიქვია. ქაბატოს ორი ნაკლი აქვს: ძალიან დაბალია და ბებერი. მაგრამ სიბერით არ დაიწუნება. ისეთი ნოყიერი რძე აქვს, მაწვნის ქილა თავდაყირა რომ დაიჭირო, წვეთი არ გავარდება.

ერთ გოჭს ჭრელას ვეძახით, იმიტომ, რომ ჭრელია; მეორეს – ოთახას, იმიტომ, რომ ოთახში გამოვზარდეთ; მესამეს სახელი არა აქვს, ისე დადის.

ჭრელა და ოთახა ჭირვეულები არიან. ოთახა სულ ოთახისკენ იწევს, მაგრამ უკვე დიდია და აღარ უშვებენ. ჭრელას, ალბათ, თავისი სიჭრელე აწუხებს. მესამე გოჭი კი არხეინად გრძნობს თავს, იმიტომ, რომ უბრალოდ გოჭია.

სიტყვის სკივრი

ძროხას ქაბატო გვიქვია – ჩვენს ძროხას ქაბატო ჰქვია.
ჭირვეული – ჭინჭყული, უხასიათო.

1. რისი შეტყობა სურს სოფლის ბოლოში მცხოვრებ ფეფოს?
2. რომელი შინაური ცხოველები და ფრინველები ჰყავს ფეფოს?
3. როგორი ძროხაა ქაბატო?
4. რა ჰქვიათ გოჭებს?

მოძებნე მოთხრობაში კითხვითი წინადადებები და წაიკითხე შესაბამისი ინტონაციით.

2.

ეზოში ერთი შობასგადარჩენილი ინდაური დაგვიდის, სახელად ფუყა. ეს სახელი იმიტომ ჰქვია, რომ სულ გაფუყული დადის. ეს ფუყა ძაღლივით ავია, მაგრამ ინდაურივით ინდაური – შინაურს და გარეულს ვერ არჩევს. მეზობლები ფუყას შიშით ეზოში ვეღარ შემოდიან.

ახლა ჩვენი მერცხლების ამბავი: შემოდგომაზე, არემარე რომ დანაღვლიანდება და ქვას გვერდი გაუცივდება, ჩვენი მერცხლები სხვა მერცხლებივით უცხო მხარეს მიფრინავენ. ბუდეებს ჩვენ გვიტოვებენ საპატრონოდ. მერცხლის ბუდეს ხელი არ უნდა ახლო, თორემ მერცხლის კვერცხივით დაიჭორფლები, თანაც მერცხლები სხვასთან გადასახლდებიან. უმერცხლებოდ კი ძალიან მოსაწყენი იქნება ცხოვრება.

სიტყვის სკივრი

შობასგადარჩენილი – რომელიც საშობაოდ არ დაკლეს.
დაგვიდის – ჩვენს ეზოში დადის.
გაფუყული – გაფხორილი, გაბერილი.

1. როგორია ინდაური ფუყა?
2. როდის ნაღვლიანდება არემარე და როდის უცივდება ქვას გვერდი?
3. როგორი იქნება უმერცხლებოდ ცხოვრება?

ვის რას დაარქმევდი?

ვინც გაბღენძილი დადის.
ვინც მოთხუპნილი დადის.
ვინც ხმამაღლა როხროხებს.
ვინც ხშირად ხუმრობს.
ვინც სულ კისკისებს.
ვინც სულ იპრანჭება.

დავალება:

დაწერე მერცხლების ამბავი.

3.

კუდა ძალიან ზარმაცი კატაა. ჩხუბში კუდი წააკვნიტეს და ხელი აქვს ჩაქნეული. თაგვები კატად არ აგდებენ. ერთხელ დაიჭირა პატარა თაგვი. იმდენი ათამაშა, იმდენი ათამაშა, სანამ არ გაექცა. უნდა გენახათ, როგორ დაიმორცხვა. აღარ იცოდა, თვალები სად წაეღო.

ბოქა მწყემსებმა გაგვიცვალეს თაფლში. ბოქა ძაღლივით ერთგული ძაღლია. რაც უნდა აწყენინო, მაინც სიყვარულით სავსე თვალებით გიყურებს. ჩვენიანი თუ ხარ, მორჩა, – არასოდეს გაწყენინებს. უცხოს კი გამოუჩენს ხოლმე კბილებს. წოლა ჩვენი უგერგილო ქლიავის ქვეშ უყვარს.

ასე ვცხოვრობთ სოფლის ბოლოში.

სოფლის ბოლოში, ალბათ, იმიტომ ცხოვრობენ, რომ სოფელი ლამაზად დაბოლოვდეს.

ლეილა ბეროშვილი

სიტყვის სკივრი

უგერგილო – უხეირო, უშნო.
დაიჭორფლები – ხალები გაგიჩნდება.

1. როგორია კატა კუდა?
2. როგორი ძაღლია ბოქა?
3. ფეფოს აზრით, რატომ ცხოვრობენ სოფლის ბოლოში?

1 **დაასათაურე მოთხრობის მეორე და მესამე თავში გადმოცემული ამბები.**

2 **რატომ დაარქვეს ინდაურს ფუყა, გოჭებს – ჭრელა და ოთახა, ხოლო კატას – კუდა?**

3 **მხიარული თამაში – „წარმოიდგინე, რომ...“**

- წარმოიდგინე, რომ ჩვენთან მოვიდა ფეფო. რა კითხვებს დასვამდა?
- წარმოიდგინე, რომ ჩვენთან, კლასში, მოვიდა ხახვისთავა ბიჭუნა ჩიპოლინო. რა მოხდებოდა?
- წარმოიდგინე, რომ ტკბილი ბამბის თოვლი მოვიდა. რა მოხდებოდა?
- წარმოიდგინე, რომ ერთი დღით ფრენის უნარი მოგეცათ. რას იზამდით?

სასაუბრო

ისაუბრეთ თქვენს შინაურ ცხოველებზე. რომელ მათგანს დაარქვით სახელი და რატომ? რომელს როგორი ბუნება აქვს?

დავალება:

დაწერე ძაღლ ბოქას ამბავი.

ერთი და შვიდი

იყო ერთი ბიჭი. მაგრამ ის ბიჭი ერთი კი არა, შვიდი იყო.

– ეგ როგორაო? – იკითხავენ სხვა ბიჭები და გოგონები.

ახლავე ავუხსნი ყველაფერს:

– ის ბიჭი თბილისში ცხოვრობდა და სახელად ვანიკო ერქვა (მამამისი მშენებელი იყო)...

– არა, ის ბიჭი რომში ცხოვრობდა და სახელად ჯოვანი ერქვა (მამამისი ექიმი იყო)...

– აბა, რას ბრძანებთ? ის ბიჭი ბერლინში ცხოვრობდა და სახელად ჰანსი ერქვა.

– როგორ გეკადრებათ, ის ბიჭი მოსკოვში ცხოვრობდა და სახელად ვანია ერქვა.

– არავითარ შემთხვევაში! ის ბიჭი ნიუ-იორკში ცხოვრობდა და სახელად ჯონი ერქვა.

. . . ვანიკო, ჯოვანი, ჰანსი, ვანია, ჯონი . . . ესეც შენი ხუთი ბიჭი!

დანარჩენი ორი სადღაა?

– ის ბიჭი შანხაიში ცხოვრობდა და სახელად ვანი ერქვა.

– დაბოლოს, ის ბიჭი რიო-დე-ჟანეიროში ცხოვრობდა და სახელად ჟოაზინიო ერქვა.

აი, ეს შვიდი ბიჭი იყო ერთი და იგივე ბიჭი...

მერე რა, რომ ჯოვანი შავტუხა იყო და ვანია – ქერათმიანი?

მერე რა, რომ ჟოაზინიო შავკანიანი იყო და ვანი – ყვითელკანიანი?

მერე რა, რომ ვანიკო ქართულად ლაპარაკობდა, ჰანსი – გერმანულად და ჯონი – ინგლისურად?

ყველანი ხომ რვა წლისანი იყვნენ!

წერა და კითხვა ხომ ყველამ იცოდა!

ველოსიპედის უხელოდ ტარება ხომ ყველას შეეძლო!

მუხლისთავები ხომ ყველას ერთნაირად ჰქონდა გადაყვლეფილი!

და რაც მთავარია, ყველანი ხომ ერთ ენაზე იცინოდნენ!

ის შვიდივე ბიჭი გაიზრდება.

ისინი ერთმანეთის მტრები არასდროს იქნებიან... იმიტომ, რომ შვიდივე ერთი და იგივე ბიჭია.

ჯანი როდარი

როგორ ჟღერს იტალიურად, გერმანულად, რუსულად, ინგლისურად, ჩინურად, ბრაზილიურად ქართველი ბიჭის სახელი ვანიკო?

1. ამ შვიდი ბიჭიდან რომელი სად ცხოვრობდა?
2. ამ შვიდი ბიჭიდან რომელი როგორი იყო?
3. რატომ იყო ეს შვიდი ერთი, რა საერთო ჰქონდა ამ შვიდ ბიჭს?

ეს საინტერესოა

რომელი ქალაქი სად არის?

თბილისი – საქართველოში, რომი – იტალიაში, ბერლინი – გერმანიაში, მოსკოვი – რუსეთში, ნიუ-იორკი – ამერიკაში, რიო-დე-ჟანეირო – ბრაზილიაში, შანხაი – ჩინეთში.

სასაუბრო

სადაურები ყოფილან: ვანიკო, ჯოვანი, ჰანსი, ვანია, ჯონი, ვანი, ჟოაზინიო?

კიდევ რითი ჰგვანან მსოფლიოს ბავშვები ერთმანეთს?

8 კომპლექსური დავალებები

№1. თოჯინის დამზადების პროცესისა და თოჯინის აღწერა

დაამზადე თოჯინა. ზეპირად ისე აღწერე მისი კეთების პროცესი, რომ სხვებმაც შეძლონ მსგავსის გაკეთება.

თოჯინის დასამზადებლად გამოიყენე ნებისმიერი მასალა და ნივთი.

ნამუშევრის წარდგენისას წარმოაჩინე:

- როგორ დაამზადე თოჯინა; რა თანმიმდევრობით გააკეთე – ამისთვის გამოიყენე თანმიმდევრობის გამომხატველი სიტყვები;
- რა მასალისა და ნაწილებისგან შედგება შენი თოჯინა და როგორია ისინი – ამისთვის გამოიყენე ნიშან-თვისების გამომხატველი მრავალფეროვანი სიტყვები.

№2. მკითხველის პოსტერი

შექმენით საკლასო პოსტერი სათაურით, „რა უყვართ ბავშვებს და რატომ? სათქმელის წარმოსაჩენად გამოიყენეთ მაგალითები შესწავლილი ტექსტებიდან.

პოსტერზე:

- თემაში შესწავლილი ტექსტებიდან წარმოადგინე მაგალითები, რომლებიც შეესატყვისება პოსტერის სათაურს: „რა უყვართ ბავშვებს და რატომ?“.
- პოსტერისათვის შეარჩიე სათაურის შესაბამისი წარწერები და ილუსტრაციები;
- სათქმელის გამოსაკვეთად გამოიყენე სხვადასხვა ზომისა და ფერის ასოები, სურათებისა და ილუსტრაციების განლაგება;
- გამოიყენეთ მოკლე წინადადებები.

ნამუშევრის წარდგენისას წარმოაჩინე:

- რისი თქმა გინდოდა ამ პოსტერით;
- რით უკავშირდება შენი პოსტერი შესწავლილი ნაწარმოებების შინაარსს;
- რა საერთოს ხედავ შენსა და პერსონაჟ ბავშვებს შორის;
- პოსტერის რა მახასიათებლები აქვს შენს ნამუშევარს – რატომ ფიქრობ, რომ იგი პოსტერია;
- როგორ გამოიყენე სათქმელის გამოკვეთისათვის სხვადასხვა ზომისა და ფერის ასოები, სურათებისა და ილუსტრაციების განლაგება.

9 ადამიანი და ბუნება

ვისი ხარ, წყაროვ, ვისი?

– ვისი ხარ, წყაროვ, ვისი?
– ვისაც ვწყურივარ, მისი;
შენიცა ვარ და სხვისიც,
ყველას ვუყვარვარ, ვიცი!

მე ყველასი ვარ: შხეფებს
სულ აქეთ-იქით ვისვრი,
ვრწყავ ყვავილს, მწვანე ბალახს,
წყალი სჭირდება, ვიცი!

ილია სიხარულიძე

1. ვისი შეიძლება იყოს წყარო, ვის სწყურია წყაროს წყალი?
2. რას ნიშნავს წყაროს ნათქვამი: „მე ყველასი ვარ“?

1 **დაასახელე, მოცემული სიტყვებიდან რომელი უფრო შეეფერება წყაროს:**

მოქუხს, მოჩუხჩუხებს, მორაკრაკებს, მოწანწკარებს, მოჩქეფს, მოდუდუნებს.

2 **დააკვირდი მაგალითს:** აქეთ-იქით → აქეთ და იქით.

აქციე ეს სიტყვები ორ სიტყვად:

ზევით-ქვევით მაღლა-მაღლა წინ-უკან აღმა-დაღმა

სასაუბრო

ისაუბრეთ, ჩვენ როგორ უნდა მოვუაროთ წყაროს.

ყმაწვილი და პეპელა

ჭრელი პეპელა დაათრო
და გააბრუა იამა,
მას მიეპარა ყმაწვილი,
დაიჭირა და იამა.
ალერსით უთხრა: „პეპელავ,
თავს რითი ირჩენ შენაო?
როგორ არა გღლის მთელი დღე
დაუღალავი ფრენაო?“
პეპელამ უთხრა: „მინდორში
ვცხოვრობ მე უზრუნველადო,
იქ ყვავილები გაშლილან
ჩემ საზრდოდ, საწუწნელადო,
დროს მხიარულად ვატარებ,
ჩემს ნებაზედაც დავფრენო,
მაგრამ დღეგრძელი არა ვარ,
გამიშვი, ნუღა მაცდენო!“
ყმაწვილმა ხელი გაუშვა,
გაფრინდა ნაზი პეპელა
და თითქოს ნიშნად მადლობის
თავს ევლებოდა ნელ-ნელა.

აკაკი წერეთელი

მოძებნე, წაიკითხე კითხვითი წინადადებები და ამ კითხვებზე გაცემული პასუხები.

1. რა ჰკითხა ყმაწვილმა პეპელას?
2. რა უთხრა პეპელამ ყმაწვილს?
3. რატომ გაათავისუფლა ყმაწვილმა პეპელა?

დავალება:

შენი სიტყვებით ზეპირად გადმოეცი ლექსის შინაარსი.

1. ადამიანის ლეკვი

ბუჩქთან მდგარი ფუნჩულა ბავშვი სულ ცოტა ხნის წინ გადაურჩა კოჭლ ვეფხვს – შერ-ხანს, რომელიც შამბნარში გაიხლართა.

– ნუთუ ეს ადამიანის ლეკვია? – იკითხა დედა მგელმა.

მამა მგელმა მოცინარი ციცქნა ბალღი თავის ლეკვებს გვერდით მიუწვინა.

– რა პაწაწინაა და თან სულ მთლად შიშველი... – მიუალერსა დედა მგელმა.

ბავშვი უფრო ახლოს მიეკრა დედა მგლის თბილ ბეწვს.

გამოქვაბულის ვიწრო შესასვლელი შერ-ხანის ჩრდილმა დააბნელა.

– მომეცით ადამიანის ლეკვი! ჩემი ნადავლია! – დაიღრიალა ვეფხვმა.

დედა მგელმა დაუპატიჟებელ სტუმარს შეუღრინა:

– ლეკვი ჩემია. ის არ მოკვდება. გაიზრდება, ინავარდებს და ინადირებს... მოშორდი აქაურობას!

შერ-ხანს შეეძლო პირისპირ შეჰბმოდა მამალ მგელს, მაგრამ დედა მგელს ვერ გაუმკლავდებოდა, იცოდა, დედა თავს არ დაზოგავდა, ბოლომდე იბრძოლებდა.

ვეფხვმა უკან დაიხია და გამოქვაბულს გაერიდა...

ასე შეიძინა მგლების ოჯახმა ახალი წევრი. ადამიანის ლეკვს მაუგლი დაარქვეს. დედა და მამა მგელი მაუგლის შვილივით ზრდიდნენ.

სიტყვის სკივრი

შამბნარი – მაღალი და მსხვილი ბალახით დაფარული ძნელად სავალი ადგილი.
ბალღი – ბავშვი.
ნადავლი – ნაშოვნი ქონება.
შეჰბმოდა – შეჰბრძოლებოდა.

1. ვინ იპოვა მამა მგელმა ტყეში?
2. რამ გაუღვიძა მგელს დედობრივი სითბო?
3. რა ემუქრება ბავშვს?
4. რამ დაახევინა უკან შერ-ხანს?
5. რა დაარქვეს „ადამიანის ლეკვს“?

დავალება:

გაეცი პასუხი მეოთხე შეკითხვას.

2. გამოცდა

მაუგლი წამოიზარდა. ბალუ მის აღზრდას შეუდგა.

მაუგლი ძალზე ნიჭიერი მოწაფე გამოდგა. ბიჭი ისევე კარგად დაცოცავდა ხეებზე, როგორც ცურავდა, ისევე კარგად ცურავდა, როგორც დარბოდა. ბალუმ ახლა მას ტყისა და წყლის კანონთა სწავლება დაუწყო. ასწავლიდა, როგორ მიემართა ზრდილობიანი სიტყვებით გარეული ფუტკრებისათვის, თუ მათ სკას წააწყდებოდა, როგორ გაეფრთხილებინა გუბეში მოკალათებული წყლის გველები, თუ წყალში ჩახტომას დააპირებდა.

ერთ დღეს ბალუმ მაუგლის გამოცდა გადაწყვიტა. გამოცდას შავი ავაზა ბაგირაც დაესწრო.

– აბა, გაუმეორე ბაგირას ჯუნგლის ის ჯადოქრული სიტყვები, მე რომ გასწავლე, – უთხრა ბალუმ მაუგლის.

– „ჩვენ – თქვენ და მე – ერთი სისხლისანი ვართ!“ – თქვა მაუგლიმ დათვისებური ხმით.

– კარგი! აბა ახლა ფრინველთა ენა გვასმინე!

– „ჩვენ – თქვენ და მე – ერთი სისხლისანი ვართ!“ – თქვა მაუგლიმ, ოღონდ ბოლოს ძერასავით მოჰყვა წივილს.

– ახლა გველების მოდგმის სიტყვები გაიხსენე!

მაუგლიმ იგივე სიტყვები გაიმეორა და ბოლოს საშინლად ასისინდა.

– ახლა მაუგლის უკიდეგანო ჯუნგლში არაფერი ემუქრება. მას ვერაფერს დააკლებს ვერც გველი, ვერც ფრინველი და ვერც ნადირი! – თქვა ბალუ მასწავლებელმა და კმაყოფილების ნიშნად დაისვა თათი უზარმაზარ ბანჯგვლიან მუცელზე. ბაგირა დაეთანხმა.

რედიარდ კიპლინგი

სიტყვის სკივრი

ჯუნგლი – დაბურული, გაუვალი ტყე.
გვასმინე – გაგვაგონე.
ძერა – დიდი მტაცებელი ფრინველი.
უკიდეგანო – ვრცელი, ფართო.

1. როგორი მოწაფე იყო მაუგლი?
2. პირველ ყოვლისა, რა შეასწავლა ბალუმ მაუგლის?
3. რომელ ჯადოქრულ სიტყვებს იმეორებდა მაუგლი გამოცდის დროს? რას ურთავდა ბიჭი ამ სიტყვებს?
4. რომელი ცხოველი ესწრებოდა გამოცდას?
5. რა დაასკვნა ბალუმ?

ნახეთ მულტფილმი „მაუგლი“.

სასაუბრო

ისაუბრეთ, კიდევ რომელ პერსონაჟებს გაეცანით. ვინ როგორია? რით დასრულდა მულტფილმი?

დავალება:

რა ასწავლა ბალუმ მაუგლის.

მულტფილმ „მაუგლის“ ნახვის შემდეგ ისაუბრეთ თქვენი შთაბეჭდილებების შესახებ.

დაასრულე წინადადებები:

ყველაზე მეტად მომეწონა ...
ყველაზე მეტად განვიცადე ...
ყველაზე მეტად გამამხიარულა...
ყველაზე მეტად მეწყინა...
ყველაზე მეტად გამიხარდა ...
ჩემი საყვარელი პერსონაჟია...

დაფიქრდით!

ბუნების დამცველები ფიქრობენ, რომ ადამიანებმაც უნდა გაითვალისწინონ ჯუნგლის კანონი. თქვენ რას ფიქრობთ?
უნდა დავიცვათ თუ არა ბუნება?

კითხვები, რომლებზეც ყველა უნდა ფიქრობდეს!

როგორ უნდა მოვიქცეთ ბუნებაში გასეირნების შემდეგ?
რა სავალალო შედეგი მოაქვს ტყის განადგურებას?
როგორ მოვუფრთხილდეთ ტყეს, ცხოველებს, ფრინველებს?
განსკუთრებით რაზე უნდა ვიზრუნოთ?
როგორ დავეხმაროთ ჩვენ მახლობლად მცხოვრებ უპატრონო ცხოველებს? როგორ ვიზრუნოთ მათ უსაფრთხოებაზე?
როგორ ვიზრუნოთ წყაროების სისუფთავეზე?
როგორ დავიცვათ მდინარის ხეობები დაბინძურებისგან?

სასაუბრო

ისაუბრეთ, თქვენ როგორ ეპყრობით ბუნებას. რას აკეთებთ მის დასაცავად?

აღწერეთ სურათები.

აღწერე სურათი დამოუკიდებლად.

9 კომპლექსური დავალებები

№1. ბუნების დაცვის წესების შექმნა

შესწავლილ ნაწარმოებებზე („მაუგლი“, „ვისი ხარ, წყაროვ, ვისი?“, „ყმაწვილი და პეპელა“) დაყრდნობით შეიმუშავე ბუნებაში მოქცევის წესები. გამოიყენე ერთი ან ორი დეფისიანი სიტყვა. (მაგ: მთა-ბარი, მინდორ-ველი...)

ნაშრომი გააფორმე ილუსტრაციებით და შეურჩიე საინტერესო სათაური.

ნამუშევრის წარდგენისას წარმოაჩინე:

- რით უკავშირდება შენი მოფიქრებული წესები შესწავლილი ნაწარმოების დედააზრს;
- აზრობრივი კავშირი სათაურს, წესებსა და ილუსტრაციას შორის.

№2. სურათის ზეპირად აღწერა – „გასეირნება ტყეში“

აღწერისას ხაზგასმით წარმოაჩინე:

- აღწერის მიმართულება (მაგ: „ახლოდან შორს“/„წინ – უკან“);
- დეტალები: რა მოჩანს, ვინ და ვინ არიან გამოსახული სურათზე, სად იმყოფებიან, რას აკეთებენ ისინი, როგორები არიან, რა ჩანს გარშემო, როგორი ამინდია;
- ადგილმდებარეობის აღმნიშვნელი სიტყვების ცოდნა – აღწერისას გამოიყენე, მაგალითად: აქეთ, იქით, შუაში, უკან, წინ.

10 წელიწადის დროები

ნეკერჩხალი

ერთხელ თურმე, ოქტომბერში,
ტყეს დაეცა შიშის ზარი:
– მოგვეშველეთ, მოგვეშველეთ!
– ხანძარია, ჰე, ხანძარი!
– ხევის პირზე ცეცხლი გაჩნდა,
ჩქარა, დროზე მიასწარით! –
წიოკობენ ფრინველები,
ნისკარტებით მიაქვთ წყალი.
მიფრინდნენ და რას ხედავენ:
წითლად ღუის ნეკერჩხალი!

გივი ჭიჭინაძე

სიტყვის სკივრი

ნეკერჩხალი – ხე, რომლის ფოთლები შემოდგომაზე წითელ ფერს იღებს.
ღუის – ფერადად ანათებს.

დაიმახსოვრე!

ძახილის წინადადება

– მოგვეშველეთ, მოგვეშველეთ!
– ხანძარია, ჰე, ხანძარი!
– ხევის პირზე ცეცხლი გაჩნდა,
ჩქარა, დროზე მიასწარით! –

ამ წინადადებებში ძახილია გამოხატული და ძახილის ნიშანი აქვს დასმული.

ამგვარი წინადადებები არის ძახილის წინადადებები.

1. რატომ ატყდა ტყეში განგაში?
2. მართლა ხანძარი იყო ტყეში?
3. რას ნიშნავს „წითლად ღუის ნეკერჩხალი“?

დაასახელე, რომელ წინადადებაში რა არის გამოხატული – შეშფოთება, ძახილი თუ მოწოდება.

– მოგვეშველეთ, მოგვეშველეთ!
– ხანძარია, ჰე, ხანძარი!
– ჩქარა, დროზე მიასწარით!
– წითლად ღუის ნეკერჩხალი!

წაიკითხეთ ძახილის წინადადებები, რომელშია თხოვნა, რომელში – მოწოდება, რომელში – აღფრთოვანება:

– ჭიავ, ჭიავ, მაპოვნინე, მე შენ დედას გაპოვნინებ!
– წამოდექით, ყმაწვილებო, ტანთ ჩაიცვით საჩქაროზე!
– რა სჯობს ამ თოვლის ცქერასა!

სასაუბრო

რომელი ხეები იცით? როგორ გამოიყურება ტყე შემოდგომაზე?

რომელია ზედმეტი?

ნაძვი მუხა ცაცხვი ხე ნეკერჩხალი

დავალება:

მოიფიქრე ორი ძახილის წინადადება და ჩაწერე რვეულში.

რთველი

ისეთია ხარისთვალა,
თვალს არ ახსოვს ამისთანა.
    იმდენია რქაწითელი,
    არ ეყოფა ასი ხელი.
მოაქვთ ციცქა,
მოაქვთ თითა
გოდრითა თუ
კალათითა.
    დაწნეხილი საწნახელი
    ქვევრს ჩასძახის რაკრაკითა:
    – დრო დაგიდგა, გაბერილო,
    სვი, ილხინე, რაღა გინდა?!

გივი ჭიჭინაძე

სიტყვის სკივრი

გოდორი – მოწნული მაღალი, მოგრძო, დიდი კალათა.
საწნახელი – ყურძნის საწური დიდი ჭურჭელი.
ქვევრი – მიწაში ჩაფლული თიხის ჭურჭელი ღვინის შესანახად, იგივე ჭური.

1. რა არის რთველი?
3. რით ეზიდებიან ყურძენს?
4. რატომ დაუდგა ქვევრს ლხინის დრო?

ეს საინტერესოა

დააკვირდი, რა ლამაზი სახელები რქმევია ყურძნის სხვადასხვა ჯიშს – ხარისთვალა, რქაწითელი, ციცქა, თითა... ქართველმა კაცმა ამ სახელებში ვაზის დიდი სიყვარული ჩააქსოვა.

ხომ არ იცი ქართული ყურძნის სხვა სახელები?

დიდი ქართველი მხატვარი ნიკო ფიროსმანი ხშირად ხატავდა სოფლის სურათებს. ამ სურათზე მან რთველი გააცოცხლა.

აღწერე სურათი.

ყურადღებით დააკვირდი, ლექსში ნახსენები რა და რა ჭურ-ჭელია გამოსახული ნიკო ფიროსმანის ნახატზე.

სასაუბრო

თუ ყოფილხართ რთველში? გაიხსენეთ, როგორ ჩატარდა იგი. თქვენ რა მონაწილეობა მიიღეთ?

ზამთარი

ყმაწვილებო! ერთი შეხეთ,
რა შუქსა ჰფენს თეთრი დილა,
ჩანს, ზამთარი აღარ ხუმრობს,
ჩანს, წუხელვე დათოვლილა!

აბა, ჩქარა, გაიღვიძეთ,
გაახილეთ ყველამ თვალი,
რომ არავინ არ დაგასწროთ
პირველ თოვლში კოტრიალი!

გიორგი ქუჩიშვილი

ლექსში ორი ძახილის წინადადებაა. წაიკითხე ჯერ ის სტროფი, რომელიც გამოხატავს აღტაცებას და შემდეგ ის სტროფი, რომელშიც მოწოდებაა გამოხატული.

სასაუბრო

ისაუბრეთ, რატომ უყვართ ბავშვებს ზამთარი. რა განწყობილებას გიქმნით ეს ლექსი?

გამოცანა

ღამე მოვალ და ტყე-ველს
მარგალიტებით მოვრთავ.
მზე როცა ამობრწყინდება,
გადავიქცევი ორთქლად.

დავალება:

გადაიწერე ტექსტი. თითოეული წინადადების ბოლოს დასვი წერტილი:
ზამთარია ცივა წუხელ მოთოვა ეზოში ბავშვები თამაშობენ სახლის წინ თოვლის პაპა დგას

გაზაფხული

მოდით, ტყის გზას გავუყვეთ.

გზაზე ჯერ ისევ თოვლი დევს, მაგრამ მზე ანათებს და თოვლის ქვეშიდან პატარა, ამღვრეული რუები გამოდიან; ისინი ერთმანეთს უერთდებიან, ჩუმად კისკისებენ და ბოლოს კისრისტეხით ჩარბიან ღელეში.

ცხრათვალა მზე ანათებს, მაგრამ მზე ჯერ ისე არ აცხუნებს, როგორც ცხრა თვალს ეკადრება. აგერ, თითქოს კვირტებიც გამობერილან ხის ტოტებზე, იმათაც უგრძნიათ, რომ სადღაც ახლომახლო გაზაფხული ტრიალებს და საცაა აქაც მოვა.

თამაზ ბიბილური

1. რა არის შემორჩენილი ტყის გზაზე?
2. რა ხდება თოვლის ქვეშ?
3. როგორ იგრძნეს ხეებმა გაზაფხულის მოახლოება?

სიტყვის სკივრი

რუ – პატარა ნაკადული.
ღელე – წყალი, რომელიც ხევში მიედინება.
ეკადრება – შეეფერება.

სასაუბრო

კიდევ რა მიგახვედრებთ გაზაფხულის დადგომას? ჩამოთვალეთ გაზაფხულის თვეები. როგორ ფიქრობთ, გაზაფხულის რომელი თვეა ამ მოთხრობაში დახატული?

ანდაზა

გაზაფხულის წვიმა ბალახის დედააო.

დავალება:

უპასუხე ბოლო კითხვას და ჩაწერე რვეულში.

ირგვლივ მწვანე ზაფხულია

განაბულა სკოლის ზარი,
ისმის ქშენა მატარებლის,
მატარებლის ფანჯრებიდან
ხელს გვიქნევენ პატარები.
ირგვლივ მწვანე ზაფხულია
ყვავილებით დახატული,
ყვავილებში ერთი ამბით
მოქაქანებს ნაკადული.
ეს ყანები,
ეს ველები,
ეს ჭალები ლელიანი,
ყველაფერი,
ყველაფერი,
ყველაფერი
თქვენი არის.
თქვენ იცით და თქვენმა სწავლამ,
თქვენ იცით და თქვენმა შრომამ,
მეც ვიყავი თქვენისთანა,
გაუმარჯოს თქვენს ბავშვობას!

მუხრან მაჭავარიანი

სიტყვის სკივრი

მოქაქანებს – გაბმული ხმაურით მოედინება (ნაკადული).
ლელიანი – ლელით, მაღალი ბალახით დაფარული ადგილი.

1. რა მიგვანიშნებს ზაფხულის არდადეგების დაწყებაზე?
2. რა ხმა აცოცხლებს ყვავილებით დახატულ ზაფხულის სურათს?
3. ვის ეკუთვნის თურმე ყველაფერი?
4. რით უნდა ისახელონ თავი ბავშვებმა?

წაიკითხე: რომელ სტროფებშია მოცემული ბუნების აღწერა; რომელი სტროფი შეიცავს შეგულიანებასა და მოწოდებას.

ფანჯრიდან ერთი და იგივე ეზო მოჩანს. დააკვირდი, რა განსხვავებაა ამ ოთხ ნახატს შორის. აღწერე თითოეული მათგანი. რომელ ნახატზე წელიწადის რომელი დროა ასახული?

დავალება:

დაწერე, რას გააკეთებ ზაფხულის არდადეგების დროს.

10 კომპლექსური დავალებები

№1. მკითხველის პოსტერი

განაწილდით ჯგუფებში და შექმენით საერთო პოსტერი თემაზე – „წელიწადის ოთხი დრო“.

პოსტერის შესაქმნელად შეგიძლიათ გამოიყენოთ წარწერები, ნახატები, სურათები. პოსტერისთვის შეარჩიეთ და წარმოადგინეთ მაგალითები შესწავლილი ტექსტებიდან („ნეკერჩხალი“, „რთველი“, „ზამთარი“, „გაზაფხული“, „ირგვლივ მწვანე ზაფხულია“), ფილმებიდან, რეალური ცხოვრებიდან, რომლებიც შეესატყვისება წელიწადის დროებს; გამოიყენე ახლად ნასწავლი სიტყვები, მოკლე წინადადებები.

ნამუშევრის წარდგენისას წარმოაჩინე:

- რატომ ფიქრობთ, რომ თქვენი ნამუშევარი პოსტერია;
- რით უკავშირდება თქვენი პოსტერი შესწავლილი ნაწარმოებების თემას, თქვენს გამოცდილებას;
- რისი თქმა გინდოდათ ამ პოსტერით;
- როგორ გამოიყენეთ სხვადასხვა ზომისა და ფერის ასოები, სურათებისა და ილუსტრაციების განლაგება მთავარი სათქმელის გამოსაკვეთად.

№2. ნახატების მიხედვით წელიწადის დროების შედარება

კომპლექსური დავლება: ნახატების მიხედვით წელიწადის დროების შედარება

დააკვირდი, რა განსხვავებაა ამ ოთხ ნახატს შორის. აღწერე თითოეული მათგანი, შეუსაბამე ისინი წელიწადის დროებს. წერილობით შეავსე მახასიათებლების ცხრილი და მასზე დაყრდნობით ზეპირად შეადარე დროები ერთმანეთს.

შედარებისას წარმოაჩინე:

- რა მსგავსება და განსხვავებებია წელიწადის ოთხ დროს შორის, გამოიყენე მრავალფეროვანი სიტყვები;
- რის მიხედვით შეადარე ოთხი დრო ერთმანეთს;
- მსგავსებისა და განსხვავების აღმნიშვნელი რომელი სიტყვები და წინადადებები გამოიყენე.

11 საქართველო – ჩვენი სამშობლო

ჩემი სოფელი

ბიჭმა დახატა დიდი ხე,
ხის ქვეშ – ბოჩოლა ორფერი,
ბეკეკა, ჭრელი გოჭები,
მანქანა, შიგ კი შოფერი.
თონე და გრძელი შოთები,
პურს აკრავს პურის მცხობელი,
თუთას კენკავენ ქათმები,
მწვანე ბალახზე მოფენილს,
ბროლიაც ჩასვა სურათში,
დაარქვა: „ჩემი სოფელი“.

ცირა ქიტიაშვილი

რა დახატა ბიჭმა? რა დაარქვა ნახატს?

დაიმახსოვრე!

დააკვირდი მაგალითებს:

ვინ კერავს? – დედა.
ვინ თამაშობს? – სანდრო.
რა კნავის? – კატა.
რა მოვიდა? – მურია.
რა მიგორავს? – ბურთი.

ამგვარად: თუ გვინდა ადამიანის შესახებ ვიკითხოთ, უნდა ვთქვათ **„ვინ?“**
თუ გვინდა ცხოველებისა და უსულო საგნების შესახებ ვიკითხოთ, უნდა ვთქვათ **„რა?“**

1 გაეცი პასუხი შემდეგ კითხვებს:

ვინ დახატა სოფელი?
რა დახატა ბიჭმა?
რა დახატა ხის ქვეშ ბიჭმა?
ვინ ჩახატა ბიჭმა მანქანაში?
ვინ აკრავს პურს თონეში?
კიდევ რა ჩასვა ბიჭმა სურათში?

2 გაიხსენე, რომელ სიტყვას რა კითხვა დაუსვი, ვინ თუ რა:

ბოჩოლა, ბეკეკა, გოჭები, მანქანა, თონე, შოთები, შოფერი, ბროლია, მცხობელი.

დავალება:

ამოწერე ლექსიდან სიტყვები, რომლებსაც დაესმის კითხვა „რა?“



აღწერე სურათი. გაიხსენე, რა დახატა ბიჭმა და შეადარე ამ ნახატს. რა არ არის აქ დახატული?

მღერიან თუშის ბიჭები

მიტანტალებენ ბილიკზე
თუშის პატარა ბიჭები,
ფეხში ესობათ ეკლები,
ფეხში ესობათ ხიჭვები.
მიდიან, მიიმღერიან,
მთები უწყობენ ხმასაო:
– თუში ვარ, მაგრამ კარგი ვარ,
კიდევ ვჯობივარ სხვასაო!..
არ მივატოვებ არასდროს
მთაში გარეკილ ცხვარსაო,
არ გავაცივებ ღადარსა,
არ გამოვკეტავ კარსაო,
ომალოს, დიკლოს, შენაქოს
არ დავუტოვებ სხვასაო!

ნოდარ დუმბაძე

სიტყვის სკივრი

ღადარი – ნაკვერჩხლებიანი ნაცარი.
ომალო, დიკლო, შენაქო – თუშეთის სოფლები.

წაიკითხე, რას ამბობს პოეტი თუშის ბიჭებზე, რას მღერიან ისინი.

შემოხაზე, როგორები არიან თუშის ბიჭები:

ერთგულები, ყოჩაღები, მხიარულები, ორგულები, შრომისმოყვარეები, ზარმაცები.

ჩამოთვლილი სიტყვებიდან რომელი გამოხატავს მოქმედებას?
მიდიან, მიიმღერიან, ეკლები, მიტანტალებენ, ბიჭები.

საქართველო

ქართლ-კახეთი, იმერეთი,
გურია და სამეგრელო,
რაჭა-ლეჩხუმ-ჯავახეთი
და მესხეთი სასახელო;
ხევი, თუშ-ფშავ-ხევსურეთი,
სვანეთი და აფხაზეთი,
ძველად – ტაო-იმერხევი,
საინგილო და ლაზეთი;
მთიულეთის საარაგვო
და აჭარის ზღვა და მდელო –
ყველა ჩემი სამშობლოა –
საყვარელი საქართველო!

დუტუ მეგრელის მიხედვით

დაიმახსოვრე!

რომელი კუთხის მცხოვრები როგორ იწოდება:

ქართლი	ქართლელი
ხევსურეთი	ხევსური
ჯავახეთი	ჯავახი
თუშეთი	თუში
რაჭა	რაჭველი
კახეთი	კახელი
სამეგრელო	მეგრელი
მთიულეთი	მთიული
ხევი	მოხევე
აფხაზეთი	აფხაზი
ფშავი	ფშაველი
მესხეთი	მესხი
იმერეთი	იმერელი
აჭარა	აჭარელი
ლეჩხუმი	ლეჩხუმელი
სვანეთი	სვანი
გურია	გურული

საქართველო ჩემი სამშობლოა

სამყარო ვრცელია, ჩვენი დედამიწა კი ერთი პატარა პლანეტაა.

კოსმოსში გაფრენილმა პირველმა ადამიანმა, როგორც კი შორიდან გადმოხედა ცისფერ სამოსელში გახვეულ დედამიწას, მთელი სამყაროს გასაგონად დაიძახა:

– რა სილამაზეა!

აი, ამ ულამაზეს პლანეტაზე სხვებთან ერთად ჩვენც, ქართველებიც, ვცხოვრობთ.

ჩვენს სამშობლოს საქართველო ჰქვია.

საქართველოში, ისევე როგორც ბევრ სხვა ქვეყანაში, მრავალი ეროვნების ადამიანი ცხოვრობს. ყოველი მათგანი ამ ქვეყნის მოქალაქეა. ესენი არიან: ქართველები, აფხაზები, ოსები, ქისტები, ქურთები, აზერბაიჯანელები, სომხები, ბერძნები, ებრაელები, რუსები, უკრაინელები და სხვა.

11 კომპლექსური დავალებები

№1. წერილი თუშის ბიჭებს

მისწერე წერილი თუშის ბიჭებს

ნამუშევარში წარმოაჩინე:

- გამოხატე შენი დამოკიდებულება მათ მიმართ;
- ურჩიე, როგორ შეიძლება იზრუნონ მშობლიურ კუთხეზე, რა შეიძლება გააკეთონ მომავალში იმისთვის, რომ არ დაიცალოს სოფლები და ბავშვებს უხაროდეთ ამ სოფლებში ცხოვრება;
- დაიცავი წერილის აგებულება (მიმართვა, მისალმება, ძირითადი ნაწილი, დამშვიდობება);
- გამოიყენე სათანადო სასვენი ნიშნები.

ნამუშევრის წარდგენისას წარმოაჩინე:

- შეფასების კრიტერიუმი (კონკრეტულ კომპლექსურ დავალებაზე მისადაგებული)
- ნამუშევრის წარდგენისას წარმოაჩინე:
- რატომ, რა მიზნით გადაწყვიტე წერილის მიწერა თუში ბიჭებისათვის;
- რა ნაწილებისაგან შედგება შენი წერილი;
- როგორ დაეხმარება შენი რჩევები მათ თავიანთი მიზნის მიღწევაში;
- რატომ დასვი ეს სასვენი ნიშნები.

№2. სურათის დამოუკიდებლად აღწერა

ზეპირად აღწერე სურათი, აღნიშნე დეტალები, როგორი გარემოა, რა არის გამოსახული, როგორი ამინდია.

აღწერისას წარმოაჩინე:

- რა არის გამოსახული სურათის ცალკეულ ნაწილებში;
- სად იმყოფებიან, რას აკეთებენ, როგორები არიან;
- ადგილმდებარეობის, აღწერის თანმიმდევრობის აღმნიშვნელი სიტყვები (მარცხნივ, მარჯვნივ, შუაში, ზემოთ, ქვემოთ).